ყოველდღიური გაზეთი
# ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge
პარასკევი, 2 ნოემბერი, 2018 №260 (7805) ფასი: 60 თეთრი

## ირაკლი კობახიძე და დიტო სამხარაძე, შესაძლოა, დაიჭირონ


გვ.3

„ზუგდიდის ყოფილ მერს პარლამენტის თავმჯდომარე მფარველობდა“

# „ვაშაძე პირველივე ტურში გახდებოდა პრეზიდენტი, ამდენი გაყალბება რომ არ ყოფილიყო“


გვ.2

## ბესო დანელია: „ოცნების“ ლიდერი სესიაშვილის პრარაბად გადაიქცა“

„საზოგადოებას მობეზრდა ბიუჯეტის ვირთხების ყურება, რომლებიც 2012 წლამდე ერთოთახიან ნაქირავებ ბინებში ცხოვრობდნენ და ახლა სამსართულიანი სასახლეები აქვთ“




გვ.3

## ნუკრი ქანთარია: „საველე პირობებში ვართ!“

„ჩვენ მივიღეთ გამაფრთხილებელი გზავნილი ამომრჩევლისგან“

## სუსმა ზუგდიდის ყოფილი მერი ლაშა გოგია და ვიცემერი გია გულორდავა დააკავა



გვ.7

„ლაშა გოგია დაკავებამდე „ოცნების“ ცენტრალურ ოფისში იმყოფებოდა“

## „ვაშაძე არის პირადად სააკაშვილის კანდიდატი“

პეტრე მამრაძე: „ხალხს „ოცნება“ მყარ და სტაბილურ ძალად არ მიაჩნია“


გვ.6

## რამაზ საყვარელიძე: „საზოგადოება ნაციონალების დაბრუნებას არ დაუშვებს“


გვ.5


გვ.4

## ბათუ ქუთელია: „ეროვნული უშიშროების საბჭო ქვეყანას სჭირდება“

„რაც მალე მოგვარდება ეს პრობლემა, მით ნაკლებ ფასს გადავიხდით ეროვნული უსაფრთხოების კუთხით“

**სამართალი** გვ.7



## პირი, რომელმაც ეკა გიგაურს მუქარის შემცველი შეტყობინება გაუგზავნა, იდენტიფიცირებულია



## ქედაში აფეთქების დროს 6 წლის ბავშვის დაღუპვის გამო თურქეთის 3 მოქალაქე დააკავეს



## გორში მამაკაცმა ცოლს სცემა, დედა დაჭრა, შვილს კი პირში ნარკოტიკები ჩაუტენა

ISSN 1987-9385

**5** ხაჯიმბა საპრეზიდენტო არჩევნების გადმოწევაზე უარს ამბობს

**4** ჭიჭინაძე: „ბანკები ძალიან უკონტროლო მდგომარეობაში არიან. არ შეიძლება ასეთი ლოიალური პოლიტიკა!“

**5** ვასილ ხორავა: „ნავთობპროდუქტების ფასების გაზრდა გარდაუვალია“

**4** „კეთილი ინებონ საქართველოში არსებულმა ბანკებმა და დაიცვან ჩვენი უფლებები საერთაშორისო მასშტაბით“

# „ვაშაძე პირველივე ტურში გახდებოდა პრეზიდენტი, ამდენი გაყალბება რომ არ ყოფილიყო“

## ბესო დანელია: „ოცნების“ ლიდერი სესიაშვილის პრარაბად გადაიქცა“

შორენა მარსაგიშვილი

26 მაისის სისხლიანი სპეცოპერაცია „ქართულ ოცნებას“ მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდება და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ნაციონალებთან გამკლავება უჭირს. ამ საპრეზიდენტო არჩევნებზე „ოცნებას“ მართლაც შავად ჰქონდა საქმე და 26 მაისის დარბევის აქამდე უცნობი კადრები გაასაჯაროვეს.

გვითხრეს, რომ ეს არის ნაცების ნამდვილი სახე, მაგრამ არ აუხსნიათ, თუ რატომ არ დასაჯეს აქამდე ამ საშინელების შემოქმედნი და არც იმაზე გაუკეთებიათ განმარტებები, რატომ მალავდნენ ამდენი წელი ამ კადრებს ასე სათუთად.

ნაციონალების სისასტიკე საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ ბესო დანელიას. სააკაშვილის ზონდერები მას და მისი ოჯახის წევრებს მაშინ გაუსწორდნენ სასტიკად, როცა ისინი აქციაზე მიდიოდნენ.

რატომ არ აქვს „ქართულ ოცნებას“ 26 მაისის დარბევაზე საუბრის უფლება, რად გადაიქცა ივანიშვილი, რას ითხოვდა ის არჩევნების ღამეს ძალოვნებისგან და რა პასუხი გასცა მას ხალხმა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ბესო დანელია ესაუბრება.

**ბესო დანელია:**

– არჩევნების წინ 26 მაისის სისხლიანი დარბევის ამსახველი კადრების გამოყრა არის იმ უმაქნისობის გაგრძელება, რასაც „ოცნება“ აგერ უკვე მეშვიდე წელია, ეწევა. ის ნაციონალებთან კოაბიტაციითა და ახლა უკვე ხალხის დაშანტაჟებით ცდილობს ხელისუფლებაში დარჩენას.

26 მაისის ღამეს 5 ადამიანი დაიღუპა. 8 ადამიანი კი იმ ღამეს მიღებული ტრავმების გამო 1 წლის ვადაში გარდაიცვალა. დარბევას მასობრივი რეპრესიები მოჰყვა, 800 ადამიანი დააკავეს.

ამ დარბევის კადრებს ხშირად აჩვენებს „ქართული ოცნება“ საზოგადოებას, მაგრამ იმ ადამიანებს, ვინც ეს საშინელება ჩაიდინა, ხელს არ ჰკიდებს. ეს საქმე გამოძიებული არ არის და ეს სისხლიანი ღამე მხოლოდ თავისი მიზნებისთვის ახსენდება.

გამოძიებით არ გამოიძიეს, მაგრამ ნაცების წასვლის შემდეგ მაინც მოენახულებინათ ის ხალხი, ვისაც იმ ღამეს სასტიკად გაუსწორდნენ. „ქართულ ოცნებას“ არ დაავიწყდეს, რომ ისინი ხელისუფლებაში 26 მაისს დარბეულების სისხლის ხარჯზე მოვიდნენ.

ეს ჩემი მოგონილი არ არის, ამაზე თავად ბიძინა ივანიშვილი საუბრობდა. თავის პირველ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ მისთვის 26 მაისის დარბევა იყო ბოლო წვეთი და მან ამის შემდეგ გადაწყვიტა პოლიტიკაში მოსვლა.

***– პოლიტიკაში მოსვლა, როგორც თავად ამბობს, 26 მაისის დარბევამ გადააწყვეტინა, მაგრამ პარტია, რომლის კისერზეც ამ სისხლიანმა ღამემ გადაიარა, ივანიშვილმა გვერდზე გასწია, შუა უნდა გაიკრიფოსო და მთავარ ოპონენტად ნაციონალები დაიტოვა. ამას როგორ ხსნით?***

– ამაზე საუბარიც კი უხერხულია. იმის ნაცვლად, რომ დამნაშავეები დაესაჯათ, ჩვენ დაგვიწყეს ბრძოლა. ნაციონალები მთავარ ოპონენტებად იმიტომ დაიტოვეს, რომ მგელი მოდის რეჟიმში გაეგრძელებინათ ცხოვრება. მგელი მოდის თემა განსაკუთრებით კარგად არჩევნების წინ ჭრის.

ახლა ეს აღარ მუშაობს. ქართველმა ამომრჩეველმა მათ უარი უთხრა. ის, რაც მოხდა, არ არის ნაცების გამარჯვება, ეს „ოცნების“ დამარცხებაა. „ოცნება“ თავად „ოცნებამ“ დაამარცხა.

ხალხმა ზურგი შეაქცია იმის გამო, რომ ყელში ამოუვიდათ ნაცებთან მათი კოაბიტაცია. საზოგადოებას მობეზრდა ბიუჯეტის ვირთხების ყურება, რომლებიც 2012 წლამდე ერთოთახიან ნაქირავებ ბინებში ცხოვრობდნენ და ახლა 3-სართულიანი სასახლეები აქვთ. 2.000-ლარიანი ხელფასის მქონე პირმა სასახლე 5 წელიწადში როგორ უნდა აიშენო, არ ვიცი.



***– ბიძინა ივანიშვილს თუ დავუჯერებთ, სასახლის აშენება კაპიკები ჯდება. მთავარია, აუზში წყალი არ იყოს.***

– ეროვნული ლიდერიდან ბიძინა ივანიშვილი ირაკლი სესიაშვილის პრარაბად გადაიქცა. ჩემთვის ეს ძალიან სამწუხარო ფაქტია.

თავიანთი უსაქციელობით ხალხს ისე შეაძულეს თავი, რომ ქვეყნიდან გაქცეულმა და გააბრაგებულმა სააკაშვილმა მოუგო მათ არჩევნები.

ნაციონალურ მოძრაობას 2012 წელს გასცა ქართველმა ხალხმა პასუხი. „ოცნებას“ ისინი უნდა გაესამართლებინა. ამის ნაცვლად მათ პოლიტიკურად მკვდარი ნაცები გააცოცხლა. ახლა ხალხს ამ გაცოცხლებული პარტიის თავმჯდომარის ჩამოსვლით აშინებენ.

ეს დღეებია, სულ იმას გაიძახიან, მიშა

### „საზოგადოებას მობეზრდა ბიუჯეტის ვირთხების ყურება, რომლებიც 2012 წლამდე ერთოთახიან ნაქირავებ ბინებში ცხოვრობდნენ და ახლა სამსართულიანი სასახლეები აქვთ“

ჩამოვაო და სამარცხვინო სანახავია, თუ როგორ აღვარღვარებენ დიაცებივით ცრემლებს პირდაპირ ეთერში. მოსახლეობას პირდაპირ აშანტაჟებენ – სალომეს ხმას თუ ამ მისცემთ, მიშა ჩამოვა და საქართველოში სამოქალაქო ომი დაიწყებაო.

ყველაზე ცუდი ის გახლავთ, რომ სამოქალაქო ომთან დაკავშირებით განცხადებებს ხელისუფლების წარმომადგენლები – საპარლამენტო უმრავლესობის წევრები აკეთებენ. პროკურატურამ ამაზე დაუყოვნებლივ უნდა აღძრას საქმე, რას ნიშნავს სამოქალაქო ომი დაიწყება. ჯარი, პოლიცია და ძალოვნები შენს ხელშია და ასეთ დროს ხალხს სამოქალაქო ომით აშინებ და ეუბნები, რომ სისხლის გუბეები დადგება.

სისხლის გუბეები უკვე იდგა საქართველოში. სააკაშვილმა დააყენა ეს გუბეები და ამ მონსტრს ჩვენ შიშველი ხელებით ვებრძოდით, ვცდილობდით, კონსტიტუციური ჩარჩოებიდან არ გავსულიყავით. ჩვენ არ გვეშინოდა მაშინ მიშასი და ახლა ჯარი ამათ ხელშია და მაინც ეშინიათ.

***– „ოცნების“ დღევანდელ შემადგენლობას მიშასი მაშინაც ეშინოდა. დარბევის ღამეს დემოკრატიულ მოძრაობასა და სახალხო კრებას გვერდით არავინ დაუდგა.***

– რომელ გვერდზე დადგომაზეა ლაპარაკი. დარბევის მეორე დღეს ირაკლი ალასანიამ სულ უხარისხო ქართველები გვიწოდა. სხვებმა, ნაცების მსგავსად, რუსეთის აგენტებად გამოგვაცხადეს. მოგეხსენებათ, როგორი მიდგომა ჰქონდა სააკაშვილს, ვინც მას არ უჭერდა მხარს, ყველა კრემლის აგენტი და მოღალატე იყო.

დღეს ქვეყანაში ძალიან მძიმე ვითარება გვაქვს, „ოცნება“ ჩამოშლილია და სახეზეა პოლიტიკური კრიზისი. არსებული სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია.

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მას შემდეგ უნდა ჩატარდეს, რაც საარჩევნო კოდექსში შევა სერიოზული ცვლილებები. ეს იქნება იმის გარანტი, რომ იგივე არ მოხდება, რაც წინა არჩევნებზე ხდებოდა.

არჩევნების გაყალბება მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი, თორემ ისევ ესენი მოიგებენ. გაყალბების მხრივ ძალიან მძიმე იყო ეს არჩევნებიც. ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია აცხადებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე გაყალბებასა და ძალადობას ჰქონდა ადგილი.

არჩევნები გაყალბდა 2016 წელსაც. დემოკრატიულმა მოძრაობამ 15% მიიღო, მაგრამ ივანიშვილმა 3% დაგვიწერა. ჩვენი ხმები ბოკერიას გადაუწყო.

***– რატომ არის დემოკრატიული მოძრაობა ივანიშვილისთვის ასე მიუღებელი? ეგ კაცი თავად ამბობს, რომ პოლიტიკაში მოსვლა იმ კოშმარის შემდეგ გადაწყვიტა, რომელსაც 26 მაისის დარბევა ჰქვია.***

– ჩვენი პარტია ივანიშვილისთვის ერთი მარტივი მიზეზის გამო იყო მიუღებელი – ამ ადამიანს მონები სჭირდება და არა – თავისუფალი მოქალაქეები და დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანები.

ივანიშვილისთვის მისაღებია მონები, რომლებიც მის ჭკუაზე ივლიან და მის ყველა ბრძანებებს შეასრულებენ. მხოლოდ მონები რომ ჰყავს გარშემო, მაგიტომაც არის რეალობას მოწყვეტილი.

***– რატომ ფიქრობთ, რომ ის რეალობას არის მოწყვეტილი?***

– ეს მისი ბოლო ორი ინტერვიუდანაც გამოჩნდა. ამ ინტერვიუების შედეგი არჩევნებზეც აისახა და „ოცნებამ“ მინუს 5% მხარდაჭერა მიიღო. ბიძინა ივანიშვილს კიდევ ერთი ინტერვიუ რომ მიეცა არჩევნების წინ, დიდი გაყალბებების მიუხედავად, გრიგოლ ვაშაძე პირველივე ტურში გახდებოდა პრეზიდენტი.

ეს მარცხი მარტო ივანიშვილისა და „ოცნების“ პრობლემა რომ იყოს, ამაზე არავინ იდარდებდა, მაგრამ ქვეყანა დადგა სერიოზული საფრთხის წინაშე.

***– სააკაშვილის შესაძლო დაბრუნებას გულისხმობთ საფრთხეში?***

– არა, პოლიტიკური კრიზისის გარდა, ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისიცაა. ლარმა გაუფასურების რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. ლამის 3 ლარი გახდა 1 ლიტრი საწვავი. ქვეყანაში უმუშევრობა, შიმშილი და სიღატაკეა გამეფებული.

რაღაზე ვილაპარაკო, როცა საქართველოში ბავშვები შიმშილისგან იღუპებიან. არაერთი კვლევა ჩატარდა სოციალურ მდგომარეობაზე და უმძიმესი დასკვნები დაიდო. საქართველოს მოსახლეობის 70%-ს თავი ვალით გააქვს.

„ოცნების“ წევრები ამ ყველაფერს უარყოფენ. ივანიშვილი გამოდის და გვიმტკიცებს, ქვეყანაში ყველაფერი ძალიან კარგად არის. იმის ნაცვლად, რომ რაღაცა შეცვალონ, მარაზმატიკულ განცხადებებს აკეთებენ.

ახლა სააკაშვილის შესაძლო დაბრუნებით ხალხის დაშანტაჟებაც დაიწყეს, თავად კიდევ შიშისგან ცრემლები ჩამოსდით. ის ხალხი გვამუნათებს, ვინც მიშას ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც შეყუჟული იყო და მისი ჩამოსვლის შემთხვევაშიც შეიყუჟებიან სადმე თბილ ადგილას.

ერთი „ოცნების“ სახეებს გადახედეთ – ზარდიაშვილები, თალაკვაძეები და ჩუგოშვილები არ იყვნენ მიშას ხელის ბიჭები? ესენი რატომ უნდა გვამუნათებდნენ სააკაშვილის დაბრუნებით.

***– ჩუგოშვილი ახსენეთ, 26 მაისის დარბევის დროს ის საიას თავმჯდომარე იყო. სააკაშვილის ზონდერებმა მის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ დაიწყეს რუსთაველზე ხალხის აკაფვა. არაერთი პოლიტიკოსი და ექსპერტი***



***ამბობს, რომ დარბევას მწვანე შუქი სწორედ ჩუგოშვილმა აუნთო.***

– სწორედ ჩუგოშვილის განცხადების შემდეგ დაიწყო დარბევა. დღეს ის პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და იმ პარტიის ერთ-ერთი ლიდერია, რომელიც 26 მაისის დარბევის კადრებს ატრიალებს და გვეუბნება, რა საშინელები იყვნენ ნაციონალები.

ამას ყველაფერს ხალხი ხედავს და დასკვნებსაც აკეთებს. ნათქვამია, სამართალი ურმით დადის, მაგრამ არსად მისვლას არ აგვიანებსო და აი, შედეგიც დადგა. „ოცნებამ“ წააგო და ქვეყანაში უმძიმესი პოლიტიკური კრიზისი შეიქმნა, საიდანაც მხოლოდ ერთი გამოსავალია – ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

***– ეს არჩევნებიც იმ შემთხვევაში იქნება გამოსავალი, თუ საარჩევნო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევა.***

– ცვლილებების გარეშე არანაირი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას აზრი არა აქვს. გაყალბებით მიიღეს მეორე ტური, თორემ „ოცნებამ“ პირველივე ტურში წააგო არჩევნები.

როგორც კი ხმის მიცემა შეწყდა, „ოცნების“ ლიდერები გამოვიდნენ და საზეიმოდ განაცხადეს, 52%-ით გავიმარჯვეთო. არადა, იცოდნენ, რომ არჩევნები წაგებული ჰქონდათ.

არჩევნების წაგების შესახებ ინფორმაცია ბიძინა ივანიშვილსაც მიაწოდეს. ის რამდენიმე საათის განმავლობაში ჩხუბობდა და ითხოვდა, როგორც გინდათ, სალომე ზურაბიშვილს 52% დაუწერეთო.

3 საათი ცდილობდნენ სუსის წარმომადგენლები მის გადარწმუნებას და ბოლოს როგორღაც მოახერხეს და ის მეორე ტურს დათანხმდა.

***– რანაირად დაიყოლიეს?***

– უთხრეს, ოქმების ასლები ნაციონალებსაც აქვთ და ასეთი გაყალბება არ გამოგვივაო. დააწყნარეს, მეორე ტურისთვის ისე მოვახერხებთ, რომ თქვენ კმაყოფილი დარჩეთო.

ამ ადამიანს თავი ჭეშმარიტების ბოლო ინსტანცია ჰგონია და თავის გუნდთან ერთად არაფრის დათმობას არ აპირებს. ახლა საზოგადოება ფეხზე უნდა დადგეს და ჭირი, რომელსაც სახელად ნაცები და ქოცები ჰქვია, მოიშოროს.

ის, რასაც 2012 წელს უარი ვუთხარით, „ოცნებამ“ გაიმეორა. ვინ არის მირზა სუბელიანი? სუბელიანი იყო ნაციონალების კაცი. ეგ იჭერდა ჩვენს მომხრეებს. სუბელიანმა ჩაუდო ჩვენს თანამებრძოლ თორნიკე არევაძეს 2009 წელს ნარკოტიკები. სუბელიანი ამტვრევდა ძვლებში სააკაშვილთან მებრძოლ ადამიანებს.

როგორც ხედავთ, „ოცნებამ“ ეს ჯალათები დაიტოვა და ნაციონალების გზას აგრძელებენ. იმდენად უუნაროები არიან, რომ, არჩევნების მაგივრად ეგზიტპოლები გააყალბეს. ქვეყანას სატირლად რომ არ ჰქონდეს საქმე, „ოცნების“ საქციელი, უბრალოდ, ძალიან სასაცილო იქნებოდა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი კობახიძე და დიტო სამხარაძე, შესაძლოა, დაიჭირონ

## „ზუგდიდის ყოფილ მერს პარლამენტის თავმჯდომარე მფარველობდა“

შორენა მარსაგიშვილი

„ქართულ ოცნებაში“ დიდი წმენდისთვის ემზადებიან. ამ წმენდის ფარგლებში შეიძლება რამდენიმე მაღალჩინოსნის თავი გაგორდეს. არაა გამორიცხული, თავგასაგორებელთა სიაში პარლამენტის თავმჯდომარე და დეპუტატი დიტო სამხარაძეც მოხვდნენ.

რა კავშირი აქვთ მათ ზუგდიდის ყოფილ მერთან, როგორ და სად გაქრა ივანიშვილის ფულები, ვინ ავრცელებდა ცრუ ინფორმაციებს პრეზიდენტების კანდიდატების რეიტინგებთან დაკავშირებით? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ესაუბრება.

**გოჩა მირცხულავა:**

– ის, რაც ზუგდიდის ყოფილი მერის, ლაშა გოგიას დაკავებასთან დაკავშირებით ხდება, კანონზომიერია. ჩემთვის ისაა გაუგებარი, ადამიანი, რომლის წინააღმდეგაც აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე და მიდიოდა გამოძიება, ადამიანი, რომელიც სკანდალის შემდეგ თანამდებობიდან წავიდა, რატომ დატოვა „ქართულმა ოცნებამ“ პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ და რატომ ჩააბარა მას საარჩევნო შტაბი ადგილზე.

ბატონი ივანიშვილი ხშირად გვეუბნება, ფაქტები წარმოგვიდგინეთო, ახლა მას ინფორმაციას მივაწვდი და თავად გადაამოწმოს. ესაა მისი საქმე. მოიძიოს ბატონმა ივანიშვილმა, ვინ ლობირებდა ბატონ გოგიას პარტიაში და გაარკვიოს, ვინ მიიღო გადაწყვეტილება, მისთვის ჩაებარებინათ საარჩევნო შტაბი.

ინფორმაციის გადამოწმებაზე დრო რომ არ დაკარგოს, ბატონ ივანიშვილს ვეტყვი, რომ პარტიის თავმჯდომარედ გოგიას დატოვების გადაწყვეტილება ირაკლი კობახიძემ და დიტო სამხარაძემ მიიღეს.

მეტსაც გეტყვით, როცა ლაშა გოგიამ თანამდებობა დატოვა, სამხარაძე იყო ის პიროვნება, რომელიც მას აგულიანებდა. სამხარაძე იყო ის პიროვნება, რომელიც გოგიას არწმუნებდა, რომ მთავარია, სალომე ზურაბიშვილს არჩევნები მოეგო ზუგდიდში და მაისში ისევ ის იქნებოდა „ოცნების“ ზუგდიდის მერობის კანდიდატი.

დიტო სამხარაძის მიერ გულმიცემული, მერობიდან გადამდგარი გოგია ზუგდიდის საქალაქო სამსახურის უფროსებს თათბირებს უტარებდა და მათ უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა.

ადამიანი, რომლის წინააღმდეგაც საქმე იყო აღძრული, მერიის თანამშრომლებს პირდაპირ ეუბნებოდა, თქვენ მე მართლა წასული ხომ არ გგონივართ, მაისში ისევ ვიყრი კენჭსო.

ივანიშვილმა შეიძლება მართლა არაფერი იცოდა, იმიტომ, რომ პოლიტიკური ჯოჯოები ჰყავს გვერდით და არაფერს ეუბნებიან. მან თუ არ იცის, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხალხმაც არ იცის. ასე რომ, თავი დაანებოს ამ ჯოჯოებს და საზოგადოებას მოუსმინოს.

ბატონ ივანიშვილს კიდევ მივცემ მინიშნებას – გაარკვიოს, ვინ მფარველობს მარტვილის მერს და რა კომპრომატები არსებობს მასზე. გაარკვიოს ისიც, იცოდა თუ არა ამ კომპრომატების შესახებ გიორგი კვირიკაშვილმა. გაარკვიოს, არის თუ არა მარტვილის მერის მფარველი ირაკლი კობახიძე.

გადაამოწმოს ეს ინფორმაციები და გაიგებს, ვინ ურევს პარტიაში. პარტიის ვერტიკალის გაჯანსაღება რომ უნდა, სათავეში ჰყავს ადამიანები, რომლებიც ქმნიან ამ პრობლემებს. ეს ხალხი პოლიტსაბჭოში უზის და იმათ აზრს იზიარებს. ამ შემთხვევაში ივანიშვილი მხოლოდ საკუთარ თავზე უნდა გაბრაზდეს.

***– საკუთარ თავზე რატომ უნდა გაბრაზდეს?***

– იმიტომ, რომ ერთუჯრედიან სამხარაძესა და კონსტიტუციის მამად წოდებულ კობახიძეს უსმენს. ეს უკანასკნელი ყოველი ფეხის ნაბიჯზე არღვევს კანონს. დიახ, პარლამენტის თავმჯდომარემ მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი საგამოძიებო უწყებებს, ეწარმოებინათ სრულფასოვანი გამოძიება. მან ლაშა გოგიას, ფაქტობრივად, ინდულგენცია მისცა. დანაშაულის დაფარვა იურიდიულად რასაც ითვალისწინებს, ყველას კარგად მოეხსენება.

აქედან გამომდინარე, ივანიშვილს შორს არ მოუწევს წასვლა ამრევების მოსაძებნად, ასეთები პოლიტსაბჭოში უზის. ასევე მოიძიოს, თუ რა ზეწოლებს ახორციელებდა ამ ორი წლის განმავლობაში მდინარაძე სასამართლოებზე და ა.შ.

**გოჩა მირცხულავა: „მოიძიოს ივანიშვილმა, სად გაქრა მის მიერ არჩევნებისთვის გამოყოფილი ფული“**



***– რაც თქვენ თქვით, ეს თუ მართალია, მომავალში კობახიძისა და სამხარაძის თავები ხომ არ დაგორდება?***

– რა შედეგითაც არ უნდა დასრულდეს არჩევნები, ივანიშვილს აქვს ძალიან ცოტა დრო იმისთვის, რომ მოახდინოს რეაგირება კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით. მე არ ვიცი, აქვს თუ არა „ოცნების“ ლიდერს ამის პოლიტიკური ნება.

ბატონ ივანიშვილს ამისი ნება რომ ჰქონდეს, ბატონი კობახიძის თავი უკვე დაგორებული უნდა იყოს. უმრავლესობის რამდენიმე ლიდერს უკვე დაწერილი უნდა ჰქონდეს განცხადება პარლამენტის დატოვების შესახებ.

ამ პირებმა თუ პარლამენტის პრეზიდიუმიდან მხოლოდ დაბლა ჩამოინაცვლეს, ამით არაფერი შეიცვლება. კოსმეტიკური ცვლილებები აქ საკმარისი არ არის.

***– თქვენი აზრით, კობახიძის გადადგომა საკმარისი არ იქნება?***

– რა თქმა უნდა, არ იქნება. კობახიძის საქციელი ლაშა გოგიასთან მიმართებით არის დანაშაულზე ხელის დაფარება.

ბუნებრივად გაჩნდა კითხვა, რომ რაღა არჩევნების შემდეგ დაიჭირეს გოგია და რაღა სამეგრელოდან დაიწყო წმენდა. პარტიაში განიხილეს მარცხის მიზეზები და ბატონ ივანიშვილს უთხრეს, ზუგდიდის წაგების მიზეზი იყო ის, რომ კორუფციაში მხილებული პირი იყო საარჩევნო შტაბის უფროსი.

ეს ადამიანი აგინებდა საქალაქო სამსახურის უფროსებს და ემუქრებოდა, რომ ის ისევ დაბრუნდებოდა მერად. ამ ადამიანებს კი არ სურთ, რომ კორუფციაში მხილებული პირი მერად დაბრუნდეს და ადმინისტრაციულმა რესურსმა არაფერი გააკეთა.

კიდევ ერთხელ ვამბობ, ბატონმა ივანიშვილმა დამნაშავეები პოლიტსაბჭოში მოიკითხოს და ისიც გაარკვიოს, რა ხდებოდა სინამდვილეში რეიტინგებთან დაკავშირებით.

***– რეიტინგები რა შუაშია?***

– ირაკლი კობახიძესთან არის კავშირში. კვლევებს ატარებდა ფსიქოპროექტი და ამ კვლევებით სალომე ზურაბიშვილს 35%-ზე მეტი არასდროს ჰქონია, მაგრამ ივანიშვილს ეუბნებოდნენ, რომ სალომეს რეიტინგი იყო 53%. ასეთ ცრუ ინფორმაციას ფსიქოპროექტი ივანიშვილს ვერ მიაწვდიდა. ისინი ამას ირაკლი კობახიძესთან შეთანხმებით აკეთებდნენ.

კობახიძის სურვილი იყო, ივანიშვილს დაეჯერებინა, რომ მათ კანდიდატს 53% უჭერდა მხარს.

ბატონ ივანიშვილს კიდევ ერთ მითითებას მივცემ, კარგად მოიძიოს პარტიის სათავო ოფისში დავთრები.

***– რა დავთრები უნდა მოიძიოს?***

– დავთრები, სადაც წერია, თუ რა რაოდენობის თანხა გავიდა ცენტრალური ოფისიდან რეგიონებში და ისიც გაარკვიოს, რა თანხა მიიღეს რეგიონებში „ოცნების“ საარჩევნო შტაბებმა. ჩემი ინფორმაციით, ზოგიერთ რეგიონში განსხვავება 50%-ია, ზოგან – 30% და ა.შ.

***– გინდათ თქვათ, რომ „ოცნების“ ლიდერებმა ფული მოტეხეს?***

– მოიძიოს ბატონმა ივანიშვილმა დავთრები და ბევრ საინტერესოს ნახავს. მას დიდად არ ადარდებს, როგორ იხარჯება საბიუჯეტო სახსრები, მაგრამ თავისი ფულის მიმართ სულ სხვა განწყობა აქვს.

ჰოდა, მოიძიოს ივანიშვილმა, სად გაქრა მის მიერ არჩევნებისთვის გამოყოფილი ფული.

ძალიან ცოტა დრო აქვს ივანიშვილს. მან ამ დროში მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს. პასუხი, პირველ რიგში, მან პოლიტსაბჭოს წევრებს უნდა მოსთხოვოს.

# ნუკრი ქანთარია: „საველე პირობებში ვართ!“

## „ჩვენ მივიღეთ გამაფრთხილებელი გზავნილი ამომრჩევლისგან“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტის დეპუტატი **ნუკრი ქანთარია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ნუკრი, „ქართული ოცნების“ ოფისში გაფართოებული შეხვედრა გაიმართა, რომელსაც სალომე ზურაბიშვილიც ესწრებოდა. შეხვედრაზე რაზე იყო საუბარი, რა პოზიცია ჰქონდა ზურაბიშვილს?***

– ბუნებრივია, მეორე ტურზე იყო საუბარი. მეტი აქტიურობა, მეტი მობილიზაცია, კონკრეტული გეგმები იყო დასახული. ეს იყო საერთო დიდი შეხვედრა.

***– თუ იყო ანალიზი იმაზე, რატომ არ დაიდო ის შედეგი, რომელიც „ქართული ოცნებისთვის“ იქნებოდა სასურველი?***

– რა თქმა უნდა, სწორედ ამაზე იყოს საუბარი.

***– ძირითად მიზეზად რა დასახელდა?***

– მიზეზი ხელისგულზე დევს. ბევრ პრობლემაზე თავის არიდება, თვალის დახუჭვა. ეს იყო გამაფრთხილებელი გზავნილი ამომრჩევლისგან და ეს გაფრთხილება ჩვენი მხრიდან მიღებულია. მაქსიმალურად შევეცდებით, ელექტორატის ჩართულობა მეორე ტურში მაღალი იყოს. ჩვენ მოვახერხებთ, რომ მეორე ტურში ჩვენმა კანდიდატმა გაიმარჯვოს.

***– დეპუტატმა წიკლაურმა თქვა, რომ კრიტიკა იყო გუნდის მუშაობის მიმართ და ივანიშვილმაც, როგორც ხელმძღვანელმა, კრიტიკა საკუთარ თავზეც აიღო.***

– დიახ, რასაკვირველია, კრიტიკა ყველამ საკუთარი თავიდან უნდა დავიწყოთ. ეს ძალიან ნორმალურია. საკუთარი თავით უნდა დავიწყოთ და არა – სხვაზე გაბრაზებით. ახლა მთავარია, მობილიზება დავიწყოთ და სწორი შედეგები დავდოთ.

***– მოასწრებთ?***

– ამის რეალური შესაძლებლობა არის, რომ მოვასწროთ. ის ცვლილებები, რომლებიც უნდა მოხდეს, ამის წინაპირობებს შექმნის.

***– კონკრეტიკაზე თუ იყო საუბარი?***

– რა თქმა უნდა, იყო საუბარი, მაგრამ მე ამ ეტაპზე თავს შევიკავებ. საუბარს საქმეც უნდა მოჰყვეს, თორემ, თუ მხოლოდ ვისაუბრეთ, არაფერი გამოვა.



**„არჩევანი მშვიდობასა და დესტაბილიზაციას შორის უნდა გაკეთდეს“**

***– როგორ ფიქრობთ, საქმე მოჰყვება?***

– მე დარწმუნებული ვარ, რომ მოჰყვება და შედეგიც იქნება.

***– თქვენ ამბობთ, რომ თქვენი ამომრჩევლის მობილიზება ვერ მოხდა. რატომ, რამ გაანაწყენა „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი?***

– სხვადასხვა მიზეზი იყო – არსებულ პრობლემებზე თვალის დახუჭვა, ჩვენი ყოფილი მომხრეები, აქტივისტები ვერ დავაფასეთ. ამას დაემატა ეკონომიკური პრობლემები. ეს ყველაფერი ერთად არის და ამან ყველაფერმა ერთად განაპირობა ეს შედეგი.

ძალიან კარგი, რადგან ეს არის გაფრთხილება. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ეს მიღებული და გაზიარებული იქნება ჩვენი მხრიდან და ამომრჩეველი მხარს დაუჭერს ჩვენს კანდიდატს და არა – ნაციონალურ მოძრაობას.

***– საუბარია 600 ათასზე მეტ ხმაზე, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო, ანუ მათი მხარდამჭერთა რაოდენობა გაიზარდა. ამას რითი ხსნით?***

– გასაგებია, რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენი ამომრჩევლები რომ არ მოვიდნენ, ამანაც განაპირობა ეს ზრდა. ჩვენი ყოფილი ამომრჩევლები, რომლებიც განაწყენებულები არიან. ასევე, დიდია გადაუწყვეტელი ამომრჩეველი, რომელმაც თავი შეიკავა და არჩევნებზე არ მოვიდა. მათ მოახერხეს თავიანთი ამომრჩევლის მობილიზება, საპროტესტო ამომრჩევლის მობილიზება.

ახლა მთავარია, ყველა პრობლემას თვალი გავუსწოროთ და დავიწყოთ მათ აღმოფხვრაზე მუშაობა.

***– საპარლამენტო არჩევნები წინ არის. აქ როგორ წარმოგიდგენიათ „ოცნების“ შედეგები?***

– ძალიან გაბედულად და ძალიან კარგად წარმომიდგენია. აუცილებლად იქნება გადამწყვეტი ცვლილებები და ამ ცვლილებებმა ჩვენს ამომრჩეველს უნდა დაანახოს, რომ ჩვენ მზად ვართ, საქმე გაკეთდეს. ჩვენ მზად ვართ საქმისთვის და არა – პროპაგანდისთვის.

***– ამ შეხვედრაზე საკადრო ცვლილებებზე იყო საუბარი?***

– დღეს, ფაქტობრივად, საველე პირობებში ვართ. ამდენად, ამაზე არ ყოფილა საუბარი.

***– იქნება?***

– ეს აუცილებლობაა და ამის მოთხოვნაც არის ხალხის მხრიდან.

***– მართალია, რომ საარჩევნო შტაბს ბიძინა ივანიშვილი უხელმძღვანელებს?***

– ბიძინა ივანიშვილი, როგორც პარტიის თავმჯდომარე, მთავარი პერსონაა, რასაკვირველია, ის აქტიურად არის ჩართული და უკვე ხელმძღვანელობს კიდეც, მაგრამ, რა ერქმევა, შტაბის ხელმძღვანელი თუ კიდევ სხვა, არ ვიცი.

***– ამ შეხვედრაზე სალომე ზურაბიშვილის განწყობა როგორი იყო?***

– საკმაოდ იმედიანი და ოპტიმისტური.

***– ბატონო ნუკრი, პოლიტიკის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ შემდეგი ეტაპი კოალიციური მთავრობაა, რადგან ასეთია ამომრჩევლის ნება. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

– რასაკვირველია, მაგრამ უნდა გამოიკვეთოს პოლიტიკური ძალა, რომელსაც ხალხი იმედით მისცემს ხმას მომავალ არჩევნებში და არა – შიშით, წარსულში დაბრუნების შიშით. დარწმუნებული ვარ, რომ ახლა არ დაუშვებს მოსახლეობა, იმ ძალას მისცეს ხმა, რომელმაც 9-წლიანი რეჟიმი შექმნა. შემდეგ, რასაკვირველია, ყველა იმ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი, რომელიც ხალხს აქვს. სწორედ ეს გამოჩნდა.

***– გამოდის, მომავალში კოალიციურ მთავრობას არ გამორიცხავთ?***

– ახლაც, ფაქტობრივად, კოალიციურია, რამდენიმე პარტია უკვე არის ჩვენთან.

***– რეალურ კოალიციაზეა საუბარი, რეალურ ოპოზიციასთან კოალიციასა და თანამშრომლობაზე.***

– ეს მომავალმა არჩევნებმა უნდა აჩვენოს. ამის მიხედვით უნდა გადაწყდეს. გააჩნია, რა ძალთა თანაფარდობა იქნება.

***– გედი ფოფხაძის განცხადება სამოქალაქო ომთან დაკავშირებით რამდენად იყო ადეკვატური? ამაზე თუ იყო გუნდში საუბარი?***

– პირდაპირ ომზე არა, ეს ალბათ გადატანითი მნიშვნელობით თქვა გედიმ. ომი და მშვიდობა, ეს იგულისხმა. სტაბილიზაციასა და დესტაბილიზაციას შორის არის არჩევანი გასაკეთებელი. წარმოიდგინეთ, ამ ხალხის შეწყალება რას გამოიწვევს, მათი მსხვერპლის რეაქცია როგორი იქნება, სულ სხვა ფაზაში გადავა პროცესები.

***– სააკაშვილმა თქვა, არაფერი მჭირს შესაწყალებელიო.***

– აბა რას იტყვის სააკაშვილი! ეს ე.წ. შეწყალებული ხალხის მიზნები აბსოლუტურად ასცდება იმ რეალობას, რომელიც გვაქვს. ამიტომ დღეს არჩევანი არის მშვიდობასა და დესტაბილიზაციას შორის.

# ბათუ ქუთელია: „ეროვნული უშიშროების საბჭო ქვეყანას სჭირდება“

## „რაც მალე მოგვარდება ეს პრობლემა, მით ნაკლებ ფასს გადავიხდით ეროვნული უსაფრთხოების კუთხით“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ხელისუფლებას მიმართავს, რომ არც ერთი დღით არ შეიძლება ქვეყნის დატოვება უშიშროების საბჭოს გარეშე და საჭიროა, დაიწყოს მუშაობა მის ჩამნაცვლებელ ორგანოზე.

– საქართველოს ახალი კონსტიტუციით, რომელიც სულ მალე, ახლად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის მომენტიდან შევა ძალაში, წყვეტს ფუნქციონირებას უმნიშვნელოვანესი სტრუქტურა – უშიშროების საბჭო, რომელიც იყო წლების განმავლობაში ფორმატი და ფორუმი იმისთვის, რომ ქვეყანაში მიღებული ყოფილიყო პოლიტიკურად გაერთიანებული გადაწყვეტილებები ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასთან მიმართებით.

პოლიტიკურმა ჯგუფმა, რომელმაც კონსტიტუციაში შეწყვიტა ამ სტრუქტურის არსებობა, თქვა რომ ამ სტრუქტურის შემცვლელი სტრუქტურა იქნებოდა შემუშავებული და შექმნილი; ქვეყანას არ ექნებოდა პერიოდი, როდესაც არ იქნებოდა ის ფორმატი, რასაც უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე თავდაცვისუნარიანობასთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებების ადგილი ჰქვია. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. ჩვენ კიდევ ერთხელ, წლის ბოლომდე გვეყოლება ახალი პრეზიდენტი, გვექნება ახალი კონსტიტუცია და არ გვექნება უშიშროების საბჭო.

ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ მიუხედავად წარმატებებისა, თავდაცვისუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით, თავდაცვის სამინისტროდან ან ქართულ ჯარში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მებრძოლების კვალიფიკაცია ყოველდღიურად იმატებს, მიუხედავად იმისა, რომ ღრმავდება ჩვენი კოორდინაცია ჩვენს პარტნიორებთან, აუცილებელია სტრუქტურა, სადაც უმაღლესი თანამდებობის პირები მიიღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. ხაზს ვუსვამ, არა ანალიტიკურ გადაწყვეტილებებს, არამედ ანალიტიკაზე დაფუძნებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, გადაწყვეტილებებს, რომლებიც შემდეგ გახდება საჭიროების შემთხვევაში პირდაპირი დირექტივა როგორც თავდაცვის სამინისტროსთვის, ასევე გენერალური შტაბისა და სხვა უწყებებისთვის.

ამიტომ, კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ არ შეიძლება ქვეყნის არც ერთი დღით დატოვება ასეთი სტრუქტურის გარეშე. სამწუხაროდ, ჩვენ არა ვართ ისეთი ქვეყანა, რომელსაც ერთი დღე, ორი დღე, ერთი კვირა, ერთი თვე ან 6 თვე წყნარად ფეხი ფეხზე გადაიდოს და დაელოდოს, რომ ოდესღაც რაღაც იქნება შექმნილი, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.



ამ თემაზე „ახალი თაობა“ თავდაცვისა და უსაფრთხოების სპეციალისტებს ირაკლი ალადაშვილსა და ბათუ ქუთელიას ესაუბრა:

**ირაკლი ალადაშვილი:**

***– ბატონო ირაკლი, როგორია თქვენი შეფასება, უნდა მოეხერხებინა თუ არა მმართველ გუნდს, რომ ამ თემაზე მუშაობა დაეწყო?***

– მაკოორდინირებელი ორგანო, ნებისმიერი ქვეყნისთვის აუცილებელია, რადგანაც უნდა მოხდეს სიტუაციის კოორდინირება და რეგულირება იმ კრიტიკულ სიტუაციაში, რის წინაშეც შეიძლება რომელიმე ქვეყანა დადგეს. შეიძლება მას უშიშროების საბჭო ერქვას, ან საერთოდ სულ სხვა სახელი დაერქვას, მაგრამ ასეთი ორგანო აუცილებელია.

ასე რომ, მე მგონია, ადრე თუ გვიან შემუშავდება ასეთი ორგანო. რაც უფრო მოხდება ასეთი მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნა, მით უკეთესია.

***– პრეზიდენტი არის ქვეყნის მთავარსარდალი. ის ფაქტი, რომ ახალ პრეზიდენტს არ დახვდება ეს ორგანო, არის თუ არა ქვეყნისთვის სახიფათო?***

– რთული კითხვაა. ამაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება. უშიშროების საბჭო არსებობს, ჯერ არ გაუქმებულა, მაგრამ თქვენ იცით, რომ მმართველობა ახლა გადადის პრემიერ-მინისტრის ხელში. კოორდინირება ისედაც ხდება, როცა ქვეყანაში რაღაც ისეთი საკითხებია, რაც სასწრაფო რეაგირებას ითხოვს.

მაგრამ, მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ აუცილებელია სასწრაფოდ მოხდეს ასეთი ორგანოს ჩამოყალიბება. ოღონდ სიცოცხლისუნარიანი ორგანო უნდა იყოს. რეალურად უნდა მუშაობდეს და მან უნდა მოახდინოს სიტუაციის ანალიზი და რეკომენდაციების გაცემა. ეს არის მთავარი.

***– თქვენი შეფასებით, უშიშროების საბჭო ბოლო პერიოდში ვეღარ ასრულებდა იმ ფუნქციას, რაც საჭირო იყო თუ რატომ გახდა საჭირო მისი სხვა ორგანოთი ჩანაცვლება?***

– რეალურად, უშიშროების საბჭოს იმ სახით, რა სახითაც იყო უჭირდა ფუნქციების შესრულება. თუნდაც იმის გამო, რომ პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრის შტოებს შორის იყო ერთგვარი რთული ურთიერთობა. შეიძლება დაპირისპირება არ დავარქვათ, მაგრამ რთული ვითარება იყო. ეს იყო ფაქტი. ამას ყველა ხედავდა. იმავე საჯარო გამოსვლებსა თუ ინტერვიუებში ეს ჩანდა.

**ბათუ ქუთელია, საქართველოს ყოფილი ელჩი აშშ-ში:**

***– რა შეფასებას გააკეთებთ პრეზიდენტის განცხადებასთან დაკავშირებით?***

– საერთოდ გაურკვეველია, როგორ ხდება ეროვნულ დონეზე თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა. ამ მიმართულებით ხარვეზებია.

***– ხარვეზებში რას გულისხმობთ?***

– ვგულისხმობ იმას, რომ საერთოდ გაურკვეველია, როგორ ხდება ეროვნულ დონეზე უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება, ასევე, კონკრეტულ კრიზისულ სიტუაციებში ვის რა პასუხისმგებლობები ექნებათ გადანაწილებული. პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ვგულისხმობ და არა უშუალოდ კონკრეტული სიტუაციების მართვას.

ძალიან ბევრი დაიწერა თავის დროზეც და დღესაც ეს პრობლემაა. თავის დროზე არასამთავრობო ორგანიზაციებმა ამ თემაზე ერთობლივი განცხადებაც გავაკეთეთ. თუმცა, „ქართული ოცნების“ გუნდმა ამ საკითხზე თანამშრომლობა არ ისურვა.

***– ამ კონკრეტულ საკითხზე რა არის თქვენი რეკომენდაცია ან რჩევა ხელისუფლების მიმართ?***

– ხელისუფლებამ კონსტიტუციის ცვლილების პროცესში არც ერთი რჩევა არ გაითვალისწინა და ახლა ერთ კონკრეტულ რჩევაზე საუბარი ძნელია და არც ვაპირებ ამაზე საუბარს. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის ინსტიტუციური ჩარჩოები მთლიანად არის შესაცვლელი. ის, რაც დღეს არის, არ მუშაობს. ვერც ერთ პოტენციურ კრიზისში ვერ იმუშავებს. ეს ძალიან ბევრ პრობლემას გამოიწვევს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა და შემდეგ მისი აღსრულების კუთხითაც.

***– პრეზიდენტის განცხადების პათოსს იზიარებთ?***

– პათოსზე კომენტარს არ გავაკეთებ. ერთადერთი, რაზეც კომენტარს გავაკეთებ, არის ამ



განცხადების შინაარსი. ის, რომ ეროვნული უშიშროების საბჭო ქვეყანას სჭირდება, ფაქტია. ეს ორგანო უნდა იყოს მაღალი ლეგიტიმაციის. თავის დროზე მაგიტომაც იყო კონსტიტუციით განსაზღვრული.

უკვე პრეზიდენტის უფლებების დაკლების პროცესიდან გამომდინარე, ეს უკვე სამუშაო პროცესი უნდა იყოს, ასევე – ყველა მონაწილის კონსესის საგანი. მაგრამ, ასეთი ორგანო საჭიროა. დღევანდელი უსაფრთხოება რაღაცა განყენებული უბრალო ერთობლიობა არ არის. ამას სჭირდება ერთიანი ეროვნული სახელმწიფოებრივი მიდგომა. ამას სჭირდება კოორდინაციის ძალიან მაღალი ხარისხი, ჯერ პოლიტიკურ დონეზე და მერე – ტექნიკურზე. ასეთი ტიპის ორგანოს შექმნა საჭიროა. ამაზე მუშაობაა საჭირო. ასე ცალკეული ინიციატივებით ამ ყველაფრის გამოსწორება ძნელია.

***– ხომ არ დაგვიანდა ამაზე მუშაობა? აქამდე ხომ არ უნდა დაწყებულიყო, ვინაიდან მალე გვეყოლება ახალი პრეზიდენტი და აღარ იქნება უშიშროების საბჭო.***

– ამაზე მუშაობა უნდა ყოფილიყო კონსტიტუციის პროექტის შექმნის პროცესში. მაშინ ასეთი პრობლემები გამოირიცხებოდა. დაგვიანებული, ცხადია არის, მაგრამ უფრო უარესი შედეგის მომტანი იქნება, თუკი კრიზისის პერიოდში მოგვიწევს წარსულ დროში საუბარი, რომ კარგი იქნებოდა საკოორდინაციო და დამგეგმავი ორგანოს შექმნა. ამიტომ, რაც მალე გამოსწორდება ეს პრობლემა, მით ნაკლები ფასის გადახდა მოუწევს ჩვენს ქვეყანას ეროვნული უსაფრთხოების კუთხით.

***– ანუ საფრთხეა და დისკომფორტი იქნება პრეზიდენტისთვისაც?***

– საფრთხე ძალიან ბევრნაირია. საფრთხეების უმეტესობა გამომდინარეობს რუსული ჰიბრიდული სტრატეგიიდან. ამ საფრთხეებზე პასუხის ან ეფექტური მექანიზმის არარსებობა ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა.

# ჭიჭინაძე: „ბანკები ძალიან უკონტროლო მდგომარეობაში არიან. არ შეიძლება ასეთი ლოიალური პოლიტიკა!“

– ბანკები არიან ძალიან უკონტროლო მდგომარეობაში. მათ არავინ აკონტროლებს. არ არსებობს ზღვარი მათი შემოსავლების, თუნდაც სავალუტო ოპერაციებიდან. როგორ შეიძლება, არასტაბილური ვალუტა იყოს მოგების წყარო? – ამის შესახებ უმრავლესობის ყოფილმა წევრმა, დამოუკიდებელი დეპუტატმა დავით ჭიჭინაძემ „აიპრესსთან“ საუბრისას განაცხადა.

– სიტუაცია ლარის კურსის გაუფასურებასთან დაკავშირებით არაპროგნოზირებადია. ლარის კურსი ჯერ რატომ გაუფასურდა?! თავდაპირველად რაც იყო ნახსენები, მე არ მჯერა. არ მჯერა, რომ რუსეთსა და თურქეთში რუბლისა და ლირას გაუფასურებამ გამოიწვია ჩვენთან ლარის გაუფასურება, პირიქით, ჩვენთან უნდა გამყარებულიყო.

აქედან გამომდინარე, მე ვთვლი, რომ ეს უფრო არჩევნებთან დაკავშირებული მანიპულაციაა. ეს ვითომ იძლევა იმის საშუალებას, რომ არჩევნებთან მიმართებით ხელოვნურად არის შეკავებული. თუ იმას იტყვიან, რომ ტურისტების რაოდენობის შემცირებამ და ტურისტული სეზონის დამთავრებამ გამოიწვია ლარის კურსის გაუფასურება, მაშინ აგვისტოში, სეზონი პიკზე როცა იყო, რა ხდებოდა?!

ამიტომ ამათი არგუმენტები, რასაც ამბობენ ლარის კურსზე, არც ერთი არ არის სარწმუნო. ეს არის მარტივი სპეკულაციები, რომელსაც მიმართავენ კომერციული ბანკები, დიდი მოგების მისაღებად. საზოგადოებას ამით აჭრიან დიდ თანხებს. შეხედეთ მათ არა საპროცენტო შემოსავლებს. ეს არის მათთვის სარფიანი. ეს აზარალებს ჩვენს ეკონომიკას. ამას ვერ ხვდება, სამწუხაროდ, ჩვენი მთავრობა. ბანკებთან მიმართებით არ შეიძლება ასეთი ლოიალური პოლიტიკის გატარება.

ბანკები არიან ძალიან უკონტროლო მდგომარეობაში. მათ არავინ აკონტროლებს. არ არსებობს ზღვარი მათი შემოსავლების, თუნდაც სავალუტო ოპერაციებიდან. როგორ შეიძლება, არასტაბილური ვალუტა იყოს მოგების წყარო? ყველა აგებს, მარტო ბანკი იგებს. ე.ი. ბანკი არის დაინტერესებული არასტაბილური ვალუტით.

– თქვენ ფიქრობთ, რომ მთავრობის არასწორმა პოლიტიკამ გამოიწვია ლარის კურსის გაუფასურება?

– მთავრობის კურსი ბანკებთან მიმართებით არასწორია. როცა კანონს იღებ და ხვდები, არაპროფილური საქმიანობა დამანგრეველია შენი ეკონომიკისთვის, მაგრამ ამის აღსრულება არ ხდება, პირიქით, ხდება გვერდის ავლა და ამაზე თვალის დახუჭვა, ეს უკვე არასაწორია. ნებისმიერი რეგულაცია, რომელიც შემოდის არ უნდა იძლეოდეს გვერდის ავლის საშუალებას. ჩვენ რეგულაციებს ქაღალდზე დასაწერად ვიღებთ. სინამდვილეში, რეგულაცია უნდა მუშაობდეს ეფექტურად. ჩვენი ბაზარი ასევე დაუცველია დემპინგისგან. აქედან გამომდინარე, ჩვენთან ბიზნესი არის მძიმე მდგომარეობაში, ბანკები კი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აყენებენ, – განაცხადა ჭიჭინაძემ.

ipress.ge

# „კეთილი ინებონ საქართველოში არსებულმა ბანკებმა და დაიცვან ჩვენი უფლებები საერთაშორისო მასშტაბით“

რესტორნებისა და სასტუმროების ასოციაციის თავმჯდომარე შალვა ალავერდაშვილი ბანკებთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს, რომელსაც „კომერსანტი“ უცვლელად გთავაზობთ:



– ვიცი, ახლა ამ პოსტის დრო არ არის, ახლა მხოლოდ პოლიტიკა აინტერესებს ხალხს ძირითადად, მაგრამ მაინც ვიტყვი: საქართველოში საბანკო სისტემის სიძლიერე ჩვენზე დგას და კეთილი ინებონ საქართველოში არსებულმა ბანკებმა და დაიცვან ჩვენი უფლებები საერთაშორისო მასშტაბით.

ჯერ იყო და სეზონის დასაწყისში ტერმინალების მომსახურების საფასურები გაზარდეს საერთაშორისო ბარათებზე. რას ვიზამთ, ჩვენ ტერმინალების გარეშე მეტი რა გამოსავალი გვაქვს და ვიხდით ასე მორჩილად გაზრდილ საპროცენტო განაკვეთს ტერმინალებზე.

ახლა ახალი კეისი მაქვს: სტუმარი ჩამოვიდა, დაისვენა 10 დღე, გადაიხადა, წავიდა თავის ქვეყანაში, ერთი თვის შემდეგ იქ თავის ბანკში განაცხადა, სერვისის დონე არ მომეწონა და ფული დამიბრუნეთო.

საქართველოს ბანკი მთხოვს ახსნა-განმარტებებას ამის თაობაზე და 10 ათასი ლარის ჩამოჭრით მემუქრება. ამ ყველაფერს საერთაშორისო რეგულაციებით ხსნის.

ანუ განვმარტავ, როდესაც წახვალთ საზღვარგარეთ დაისვენეთ კარგად, გადაიხადეთ ბარათით, ჩამობრძანების შემდეგ მიმართეთ საქართველოს ბანკს, უთხარით რომ იქ სერვისი არ მოგეწონათ და ის ვალდებულია თქვენ ფული დაგიბრუნოთ. ესე ყოფილა წესი.

# 2019 წლიდან 1 თეთრის სიზუსტით ანგარიშსწორების პრინციპს „დამრგვალების მეთოდი“ ჩაანაცვლებს

2019 წლის პირველი იანვრიდან ნაღდი ფორმით ანგარიშსწორების 1 თეთრის სიზუსტით განხორციელების პრინციპი „დამრგვალების მეთოდით“ შეიცვლება.

ფასის დამრგვალების მეთოდი მხოლოდ ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოიყენება. უნაღდო ანგარიშსწორება უცვლელად – ერთი თეთრის სიზუსტით განხორციელდება.

„ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონსა და „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილებით განისაზღვრა, რომ ფასის დამრგვალების მეთოდი გამოიყენება მხოლოდ ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას, ხოლო უნაღდო ანგარიშსწორება განხორციელდება უცვლელად, ერთი თეთრის სიზუსტით, რაც გამორიცხავს ცალკეულ პროდუქტსა და მომსახურებაზე ფასების ცვლილების აუცილებლობას“, – ნათქვამია ეროვნული ბანკის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

როგორც ეროვნული ბანკი განმარტავს, ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას დამრგვალების მეთოდის გამოყენება ხდება მაშინ, როდესაც ერთეული პროდუქტის/მომსახურების ფასი ან რამდენიმე პროდუქტის/მომსახურების ჯამური ღირებულება არ მთავრდება 0-ზე ან 5-ზე.

ამ შემთხვევაში ფასის დამრგვალება მოხდება მეტობით ან ნაკლებობით უახლოეს 5-ის ჯერად რიცხვამდე შემდეგი პრინციპით: 1 და 2 თეთრზე დამთავრებული გადასახდელი თანხა მრგვალდება ნაკლებობით 0-მდე; 3 და 4 თეთრზე დამთავრებული გადასახდელი თანხა მრგვალდება მეტობით 5-მდე; 6 და 7 თეთრზე დამთავრებული გადასახდელი თანხა მრგვალდება ნაკლებობით 5-მდე; 8 და 9 თეთრზე დამთავრებული გადასახდელი თანხა მრგვალდება მეტობით შესაბამის ათეულამდე.

დადგენილი წესი არ გულისხმობს თითოეულ პროდუქტზე და სერვისზე ფასების ცვლილებას და დამრგვალების პრინციპი ვრცელდება მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორების პროცესში როგორც ერთეული პროდუქტის შეძენისა და მომსახურების გაწევის შემთხვევაში, ისე რამოდენიმე პროდუქტის ან მომსახურების საერთო ჯამურ ღირებულებაზე.

ცვლილებები ასევე ეხება 1 და 2 თეთრის ნომინალის მონეტების მიმოქცევის საკითხსაც. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით, 1 და 2 თეთრის ნომინალის მონეტების მიმოქცევაში საგადამხდელო საშუალებად გამოყენების ვადა განისაზღვრა 2020 წლის ბოლომდე.

2021 წლის 1-ლი იანვრიდან ერთი წლის განმავლობაში, აღნიშნული ნომინალის მონეტების გამოცვლა განხორციელდება საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მეშვეობით, ხოლო 2022 წლის 1 იანვრიდან – მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მეშვეობით, უვადოდ.

# რამაზ საყვარელიძე: „საზოგადოება ნაციონალების დაბრუნებას არ დაუშვებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელიძე** პასუხობს.

***– ბატონო რამაზ, არაერთი შეფასება მოვისმინეთ არჩევნების პირველი ტურის დასრულების შემდეგ. ითქვა ისიც, რომ ბიძინა ივანიშვილს ხელიდან გაექცა მართვის სადავეები. რას იტყვით თქვენ?***

– ეს კითხვა უფრო საფუძვლიან ანალიზს ითხოვს, იმიტომ, რომ ორი დღის წინ არ მომხდარა ეს შეცდომა და შეცდომების მთელმა კასკადმა განაპირობა ის, რაც ჯამში მივიღეთ ამ არჩევნებზე.

***– შეცდომებში რა იგულისხმება?***

– თვითონ „ქართული ოცნება“ უნდა იკვლევდეს ამას. დღეს რომ იძახიან, ყველაფერს გამოვასწორებთო, კითხვის ნიშანი აქ ჩნდება, იციან კი, რა არის გამოსასწორებელი?!

მე შევადარებდი ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ მდგომარეობას ერთი პარამეტრით.

***– რომელი პარამეტრით?***

– ნაციონალურმა მოძრაობამ დაკარგა მართვის სადავეები, მაგრამ შეინარჩუნა გუნდი. რა თქმა უნდა, რაღაც პროცენტით. ეს არ არის ის მხარდაჭერა, რომელიც სააკაშვილს აქვს მიღებული 2004-ში, მაგრამ ერთგული გუნდი, რომელიც გამუდმებით ყველა არჩევნებზე თავს ავლენს, სადღაც 24-27%-ის ფარგლებშია. ასეთი გუნდი მან შეინარჩუნა.

***– „ოცნებას“ არ ჰყავს ასეთი ერთგული გუნდი?***

– მეორე მხრივ, „ქართულ ოცნებას“ საყვედურობს ნაწილი ადამიანებისა იმას, რომ ისინი იბრძოდნენ „ქართული ოცნების“ გვერდით, მისი ერთგულები იყვნენ და დაწინაურებულნი აღმოჩნდნენ სრულიად სხვები, რომლებსაც „ოცნების“ გვერდით არ უბრძოლიათ, ძირითადად კი – ნაციონალური მოძრაობის ხალხი.

ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ლიდერთა ჯგუფისთვის გუნდის შენარჩუნება ერთ-ერთი არსებითი მომენტია. გუნდის შენარჩუნებისთვის კი აუცილებელია, ამ გუნდის თითოეული წევრი გრძნობდეს ზრუნვას ლიდერისას. თუ ასეთი განცდა გუნდს არ აქვს, რომ ლიდერი მასზე ზრუნავს, გუნდი იშლება. სხვა საკითხია, თუ რა განსაზღვრავს ამ ერთიანობას.

***– რა განსაზღვრავს?***

– ნაციონალურ მოძრაობაში ამ ერთიანობას განსაზღვრავს ერთ დანაშაულში მონაწილეობა. ბანდა ყოველთვის ყველაზე შეკრული გუნდია, კრიმინალური ბანდა. თუმცა არის მეორე მომენტიც, ძალიან ხშირად ვაკვირდებით, რომ ლიდერები უყვართ. სააკაშვილის მიმართაც ეს სიყვარულის ფაქტი არაერთხელ დაფიქსირდა. რა ტიპის ლიდერები უყვართ? ეს გვინახავს ისტორიაში, ჰიტლერიდან დაწყებული, სტალინამდე უყვარდათ, ანუ სიძლიერის სიმბოლო ვინც არის, ის უყვართ.

***– შიში შეიქმს სიყვარულსა, ეს მომენტია?***

– არც უმაგისობაა. ჭკვიანი კაცი იყო რუსთაველი. „ქართული ოცნების“ შეცდომა, შესაძლოა, სწორედ ის იყო, რომ მან არ შექმნა ძალის შთაბეჭდილება და ადვილად მიიკერა უნიათოს ეპითეტი. კი, ოპონენტმა მიაკერა ეს ეპითეტი, მაგრამ ეპითეტი არ მოგეწებება, თუ მას რაიმე საყრდენი არ აქვს.



ძალაუფლება ყოველთვის მიმზიდველია. ადამიანებს დიდი ძალა ყოველთვის იზიდავთ. აი, ეს მიმზიდველობა დაკარგა „ქართულმა ოცნებამ“! მან ვერ დაადასტურა თავისი ძლიერება.

***– წინ არჩევნების მეორე ტურია. ხელისუფლება კი საუბრობს შეცდომების გამოსწორებაზე, მაგრამ აქვს დრო ამისთვის? ან რამდენად მოახერხებს ტაქტიკის შეცვლას?***

– უნდა გაჩნდეს განცდა, რომ „ქართული ოცნება“ თავის რიგით წევრებზე ზრუნავს და არა – ნაციონალური მოძრაობის წევრებზე. თავის დროზე თქვა უსუფაშვილმა, ჩვენი მთავარი ამოცანაა, ნაციონალური მოძრაობა გადავარჩინოთო და ძალიან ცუდი რეაქცია იყო საზოგადოებაში.

***– იქიდან მოყოლებული გრძელდება ნაციონალების გადარჩენა?***

– დიახ, დღემდე გრძელდება ამ ფორმულაზე რეაგირება და დღემდე აქვთ ადამიანებს ის განცდა, რომ „ქართული ოცნება“ ამ ფორმულით მოქმედებს. ამის შეცვლა შეიძლება ხუთიოდე დანიშვნით და ხუთიოდე ადამიანის გათავისუფლებით. ერთგული ადამიანები წინ წამოსწიონ და ვისაც ებრძოდნენ, ისინი უკან დახიონ. მათი დახვრეტა არ არის აუცილებელი.

***– გუნდში საკადრო ცვლილებებს გულისხმობთ?***

– დიახ, რათა განმტკიცდეს გუნდურობის განცდა გუნდში, რომ ამ გუნდში ივანიშვილიც ერთგულია გუნდის წევრების. აი, ამ განცდის დეფიციტია. სიძლიერის მომენტზე როდესაც ვსაუბრობდით, უამრავი დაუმთავრებელი საქმეა და უამრავი დაუსჯელი ადამიანი დადის ქვეყანაში. საკმარისია, „ოცნებამ“ ნაბიჯი გადადგას ამ მიმართულებით და აჩვენოს, რომ მას ძალის გამოყენების უნარი აქვს, ეს შთაბეჭდილება მეტნაკლებად მოიხსნება.

აი, ეს ორი ძირითადი შთაბეჭდილება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება იმისთვის, რომ დამოკიდებულება შეიცვალოს.

***– პატრიოტთა ალიანსი ხელმოწერებს აგროვებს და მალე ისინი პარლამენტისგან მოითხოვენ ნაციონალური მოძრაობის, როგორც რეჟიმის, აღიარებას. რამდენად წაადგება ეს პროცესი „ქართულ ოცნებას“?***

– ეგ კითხვა მეორე პუნქტის გაგრძელებაა. ის დამადასტურებელი იქნება იმისა, რომ პარტიას ძალა აქვს, მეგობრებს იცავს და მტრებს ებრძვის. ამ საკითხის დაყენება დღეს, შესაძლოა, „ოცნებისთვის“ ყველაზე მეტი შანსი იყოს.

***– მოსახლეობა როდესაც უყურებს, როგორ უფასურდება ლარი, როგორ გაძვირდა საწვავი, მას უჩნდება განცდა, რომ ეს ხელისუფლება ვერაფერს შეცვლის უკეთესობისკენ. ბევრი იმასაც ფიქრობს, ეს ხომ არ არის საბოტაჟი ხელისუფლების წინააღმდეგ. თქვენ რას ფიქრობთ?***

– აშკარაა, რომ „ქართული ოცნების“ გარშემო ნაღმების მთელმა წყებამ მოიყარა თავი. სამართლიანობის პრობლემა შვილმკვდარ მშობლებთან, იქ ბიზნესის გადანაწილების თემა ოქუაშვილთან და ასე შემდეგ. თუ შევყვებით, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ წერტილებში აფეთქდა ნაღმები.

როცა ხანძარი ჩნდება ერთმანეთისგან დამოუკიდებელ წერტილებში, თუ ეს ერთდროულად ხდება, ჩნდება ვარაუდი, რომ ეს, შესაძლოა, დივერსია იყოს. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ ეს მიზანმიმართული პროცესი იყოს.

***– რას ელოდებით მეორე ტურში?***

– 70/40-ზე იქნება საბოლოო მიმართება მეორე ტურში, ოღონდ არა იმიტომ, რომ ამას მოახერხებს „ოცნება“. ამას მოახერხებს საზოგადოება, რომელსაც არ უნდა ნაციონალების დაბრუნება!

***– ანუ ნაციონალების შიშით ხმა მივცეთ „ქართულ ოცნებას“?***

– შიში ჰქვია იმას, როცა რეალობა არ არის, როცა მე მაშინებენ, მგელი, მგელიო ისე, რომ მგელი არ ჩანს, მაგაზე შიშს ვიტყვით, მაგრამ, თუ მგელი გამოჩნდა, მერე უკვე შიშზე აღარაა ლაპარაკი, მერე თავის გადარჩენა ხდება საჭირო.

გამოჩნდა რეალური კონტური იმისა, რომ შეიძლება შემოტრიალდეს მთელი ეს პროცესი. თანაც ნახეთ, როგორ სასწრაფოდ შეიცვალა ნაციონალური მოძრაობის რიტორიკა, მაშინ როცა პრაქტიკულად არ შეიცვალა „ქართული ოცნების“ რიტორიკა.

***– რა მხრივ შეიცვალა ნაციონალური მოძრაობის რიტორიკა?***

– ახლა გამოდიან და იძახიან: რა მოხდა, ჩამოვიდეს ჩვეულებრივი მოქალაქე სააკაშვილი. ის, რომ ჩამოსვლაზეა ორიენტირებული ეს არჩევნები მათი მხრიდან, მაგაში გამოჩნდა, რომ ახლა შერბილება უნდათ იმისა, რომ სააკაშვილის ჩამოსვლა არ გახდეს ბარიერი ვაშაძის არჩევისთვის.

## ლაშა პაპაშვილი არჩევნებზე: „რომელი პარტიის პრეზიდენტი იქნება ქვეყნის მთავარსარდალი, ამას ბიზნესისთვის მნიშვნელობა არ აქვს“



– რომელი პარტიის პრეზიდენტი იქნება ქვეყნის მთავარსარდალი, ამას ბიზნესისთვის მნიშვნელობა არ აქვს, – ასეთ განცხადებას ბიზნესმენი ლაშა პაპაშვილი „კომერსანტთან“ აკეთებს. მისი განმარტებით, მთავარია, რომ არც ერთი კანდიდატი მემარცხენე არ არის.

– არ მახსენდება მათი მხრიდან ბიზნესის საწინააღმდეგო განცხადებები გაკეთებული. არც ერთი მათი გამოსვლა მემარცხენე ორიენტაციის არ არის. ამიტომ, ჩვენთვის დიდი საფრთხე არ არის. მთავარია, მემარცხენე იდეებით არ მოდიან, – აცხადებს პაპაშვილი.

მისი შეფასებით, პრეზიდენტის კომპეტენციაში არ შედის ეკონომიკური და ბიზნესმიმართულებები, ამიტომ მისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ვინ იქნება პრემიერ-მინისტრი ან მინისტრები, ვიდრე პრეზიდენტი. აქედან გამომდინარე, პაპაშვილი აცხადებს, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი არ არის, რადგან მის კომპეტენციაში ეკონომიკური მიმართულება არ შედის.

## ვასილ ხორავა: „ნავთობპროდუქტების ფასების გაზრდა გარდაუვალია“

ლარი დოლართან მიმართებით 2018 წლის გაუფასურების მაქსიმუმზეა. ერთ-ერთი სექტორი რომელზეც ლარის გაუფასურება გავლენას მოახდენს ნავთობპროდუქტების სექტორია. ამის პარალელურად ნავთობპროდუქტების ფასი გაიზარდა მსოფლიო ბაზარზეც. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი ვასილ ხორავა აცხადებს, რომ „ვისოლის“ ქსელში ფასის ზრდა მცირედით უკვე მოხდა.

„კომერსანტთან“ საუბარში ხორავა განმარტავს, რომ რეზერვების საშუალებით მათ ფასის დარეგულირება მცირე დროით შეძლეს თუმცა, თუ არსებული ზრდის ტრენდი შენარჩუნდა ფასის მატება გარდაუვალი იქნება:

– ნავთობპროდუქტების საცალო-სარეალიზაციო ფასზე გავლენას ძირითადი ორი ფაქტორი ახდენს, ეს არის საერთაშორისო ფასი და გაცვლითი კურსი. სამწუხაროდ, ბოლო 4 წლის განმავლობაში ნავთობის ფასი ყველაზე მაღალ ნიშნულზეა. ფასის ზრდას ხელს უწყობს გაცვლითი კურსი, რომელიც სამწუხაროდ შეცვლილია. ბუნებრივია, იმპორტირებულ პროდუქციაზე რეაქცია ეტაპობრივად იქნება. დღესდღეობით ჩვენ ქსელში მცირედით მოხდა ფასის გაზრდა, იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ზრდის ტრენდი შეჩერებული იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ტრენდი გაგრძელდება, როგორც საერთაშორისო ფასის ასევე გაცვლითი კურსის, ადეკვატური ზომები იქნება მიღებული და სამწუხაროდ, ფასების გაზრდა გარდაუვალი იქნება, – განაცხადა ვასილ ხორავამ.

ინფორმაციისთვის, ბრენდირებული ნავთობის ფასი საქართველოში 2.36 ლარიდან 2.68 ლარამდე მერყეობს.

# ხაჯიმბა საპრეზიდენტო არჩევნების გადმოწევაზე უარს ამბობს

## აფხაზები გალელი ქართველების ჩაგვრაზე ალაპარაკდნენ

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ წერდა, რომ დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას აფხაზეთის საზოგადოების დიდი ნაწილი აუმხედრდა.

ოპოზიციის მოწოდებები ხაჯიმბას გადადგომისაკენ ადრეც გახმაურებულა. ბოლო დროს ამავე მოთხოვნას ლამის მთელი მოსახლეობა უერთდება. დაახლოებით ორი კვირის წინ თანამდებობიდან წასვლა რაულ ხაჯიმბას ყრილობაზე შეკრებილმა ახალგაზრდებმაც ურჩიეს, თუმცა, უშედეგოდ.

ერთი დღის წინ სოხუმში საზოგადოებრიობა შეიკრიბა და საკითხი განსხვავებულად დააყენა. საზოგადო მოღვაწეები მიიჩნევენ, რომ დესტაბილიზაციისა და კრიზისის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია საპრეზიდენტო არჩევნების გადმოტანა 2019 წლის აგვისტოდან გაზაფხულზე.

მოთხოვნის ავტორების აზრით, ეს გადაწყვეტილება იმიტომაც არის სასურველი, რომ ხელს შეუწყობს ტურისტული სეზონის მშვიდ გარემოში ჩატარებას. მათი განცხადებით, აფხაზეთში შექმნილია რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. აფხაზეთს უუნარო გუნდი ჰყავს. მისაღებია გადაწყვეტილებები მდგომარეობის გამოსასწორებლად.



ხაჯიმბას პრესსამსახურის პასუხის თანახმად, მოვლენების ფორსირება ვერ შეუწყობს ხელს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტაბილურობას აფხაზეთში. პრეზიდენტის არჩევნები გარდაუვალი პოლიტიკური პროცესის ნაწილია და ის არ აისახება საკურორტო სეზონზე.

როგორც ჩანს, ხაჯიმბა პოზიციას არ შეიცვლის და არჩევნების ვადის გადმოწევასაც არ დათანხმდება.

აფხაზეთში მორიგი პოლიტიკური დესტაბილიზაცია და გადატრიალება ბევრს აშინებს, თუმცა, ხალხს იმედი გადაეწურა, რომ ახლანდელ ადმინისტრაციას რაიმეს შეცვლის უნარი აქვს.

ახალგაზრდობა, რომელიც ამასწინათ შეიკრიბა, ქმნის ორგანიზაციას „აფხაზეთის ახალგაზრდობის ფორუმი“.

ხაჯიმბას ოპონენტები ასევე გაერთიანდნენ ორგანიზაციაში „მოძრაობა აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად“. მასში, სხვებთან ერთად, შედის ყოფილი მაღალჩინოსანი სერგეი შამბა, რომელმაც რამდენიმე თვის წინ შემრიგებლური განცხადებები გააკეთა ქართველების მიმართ.

აფხაზეთში ქართველების დისკრიმინაციის ფაქტსაც სულ უფრო მეტი აფხაზი აღიარებს.

როგორც ცნობილია, ქართველებს აფხაზური პასპორტის აღებას უკრძალავენ და უცხოელებივით ბინადრობის მოწმობებს სთავაზობენ. ეს გადაწყვეტილება ხაჯიმბამ მიიღო.

პოლიტოლოგი ასტამურ ტანია, რომელიც აღიარებს, რომ აფხაზეთში მძიმე სიტუაციაა, მიიჩნევს, რომ აუცილებელია გალელი ქართველების საკითხის გადაწყვეტა.

მისი თქმით, გალის რაიონის მოსახლეობა დააზარალა როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მრავალრიცხოვანმა გადაცდომებმა. ეს ადამიანები გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებიან. უნდა დაიწყოს მუშაობა მათი პრობლემების გადასაჭრელად.

ზოგადად, ტანიას აზრით, შესამუშავებელია გრძელვადიანი ეროვნული პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს „სამოქალაქო ერის“ ფორმირებას.

პოლიტოლოგის დასკვნით, თუ არ მოხდა აფხაზეთის ეთნიკური მრავალფეროვნების გათვალისწინება, ვერ დამყარდება თანხმობა და აფხაზეთი ვერ შეინარჩუნებს „სუვერენიტეტს“.

# „ვაშაძე არის პირადად სააკაშვილის კანდიდატი“

## პეტრე მამრაძე: „ხალხს „ოცნება“ მყარ და სტაბილურ ძალად არ მიაჩნია“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი **პეტრე მამრაძე** „ახალ თაობასთან“ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებულ პროცესებს აანალიზებს.

***— ბატონო პეტრე, მოგეხსენებათ, როგორი აურზაურია ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გამო. ლოგიკური შედეგი იყო, რაც მივიღეთ?***

— სავსებით ლოგიკური შედეგია.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ყველამ ვიცით, როგორ დაეცა ბოლო წლებში „ოცნების“ რეიტინგი ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური ვითარების გამო. ასევე იმის გამო, რომ „ოცნების“ დაპირებები სულ სხვა იყო და სულ სხვა რამ გამოვიდა. მეორე ფაქტორია ის, რომ ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი „ოცნებისთვის“ მომგებიანი კანდიდატი არ აღმოჩნდა. ეს თავიდანვე ვიცოდით, ვინც მას ვიცნობდით.

***— თუ სალომე ზურაბიშვილი არ აღმოჩნდა მომგებიან ვითარებაში?***

— ორივე ერთად არის. „ოცნებისთვის“ ვითარება არ არის მომგებიანი. ჯერ კიდევ 2016 წელს საპარლამენტო უმრავლესობა ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსის გამოყენებით მიიღეს და არა რეალური ნდობისა და მხარდაჭერის შედეგად.

***— ვფიქრობ, ადმინისტრაციული რესურსიც ორად გაიყო. ჩემი ახლობლისაგან მაქვს ინფორმაცია, რომ ადმინისტრაციულ სტრუქტურებში ძალიან ბევრი ნაციონალების მომხრე იყო. ასე მითხრა, ბევრნი ვართო, ანუ ადმინისტრაციული რესურსიდანაც სალომე ზურაბიშვილისთვის ხმა ყველას არ მიუცია.***

— ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რადგან, როდესაც მმართველი დაჯგუფების პოპულარობა სუსტდება, ხელისუფლების შიგნით დარჩენილ ნაციონალების მომხრეებს, რა თქმა უნდა, ხელი ეხსნებათ, მაგრამ ორი წლის წინ ადმინისტრაციულმა და ფინანსურმა რესურსმა მოიტანა ის, რომ 73 მაჟორიტარული ადგილიდან ყველა „ოცნებამ“ წამოიღო. ორადორი იყო ფორმალურად დამოუკიდებელი — სალომე ზურაბიშვილი და სიმონ ნოზაძე. ოღონდ, ორივე „ოცნების“ თანხმობით სარგებლობდა. შეადარეთ იმ 100%-იან „გამარჯვებას“ (რადგან, როდესაც იმარჯვებ არჩევნებში და იყენებ ადმინისტრაციულ რესურსს, ეს აღარ არის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები).

მე შეცდომა დავუშვი (ეს ჩემი მეორე შეცდომაა ბოლო სამ წელიწადში), სავსებით ვუშვებდი მეორე ტურს, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ადმინისტრაციული რესურსი ეყოფოდათ, რომ ზურაბიშვილის ხმების ოდენობა 45%-მდე აეყვანათ. მან მხოლოდ 0.9%-ით აჯობა ვაშაძის ხმებს. რომ არა გაყალბებული ხმები და რესურსი, რა თქმა უნდა, ვაშაძე მეტს დააგროვებდა.

***— გაყალბებულ ხმებში რას გულისხმობთ? თუ სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე ჩინოვნიკები ხმას აძლევენ, მაშინ რატომ არის გაყალბებული?***

— უცხოელი დამკვირვებლები სხვადასხვა ქვეყანაში წერილებს აქვეყნებენ, სადაც აღწერილია, მაგალითად, როგორ მოჰყავთ ავტობუსებით (ეს ხდება რაიონში) ადამიანები საარჩევნო უბნებზე.

***— ეს ახლანდელი ინფორმაციაა თუ წინანდელი არჩევნების?***

— გუშინ ვკითხულობდი. მამაკაცები იდგნენ და ყველას ქურთუკებზე ეწერა 48 ნომერი. ისინი ხვდებოდნენ ავტობუსებიდან ჩამოსულ ხანდაზმულ ადამიანებს. ავტობუსებსაც 48 ნომერი აქვს. უცხოელი დამკვირვებელი წერს: ამის შემდეგ ჩვენ გავხდით მოწმენი, როგორ შეჰყვნენ შიგნით, სადაც ბიულეტენები ივსება, სადაც ადამიანი მარტო უნდა შევიდეს.

***— ძალიან ცუდი, თუ ასეთი რამ იყო.***



— დამკვირვებელი წერს: როცა ვკითხეთ, რატომ არღვევთ წესებს, რატომ აკეთებთ ამას, გვიპასუხეს, იმის გამო, რომ მოხუც ხალხს უჭირს დანახვა, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენი კავკასიური წესით პატივი ვცეთ და დავეხმაროთო.

***— ყოველ შემთხვევაში, სალომე ზურაბიშვილის შედეგი ლოგიკური გაგრძელება იყო წინასაარჩევნო პროცესისა და იმ რეალიებისა, რაც იმ დროს განვითარდა.***

— ესეც არის, მაგრამ ერთია საარჩევნო პროცესი და მეორეა ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსი. მოგეხსენებათ, ზურაბიშვილმა ლამის ხუთჯერ მეტი დაფინანსება მიიღო, ვიდრე — გრიგოლ ვაშაძემ. ყველაფერ ამის შემდეგ სხვაობაა 0,9%, რაც სამწუხარო ფაქტია. „სამართლიანმა არჩევნებმა“ სულ სხვა ციფრები დასვა.

***— „ოცნების“ წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მათ ბევრი გაბრაზებული ამომრჩეველი ჰყავდათ, ვინც სახლში დარჩა, ხოლო ნაცმოძრაობის ამომრჩეველი, რომელიც რევანშისტულად იყო განწყობილი, მაქსიმალურად იქნა მობილიზებული.***

— ეს მართლაც ყოველთვის ასეა. თუ სააკაშვილს სტაბილურად ჰყავს თავისი მომხრეების 13-14%, როდესაც ამომრჩევლების საერთო რაოდენობის ნახევარი მიდის არჩევნებზე, ხოლო ნაციონალების ყველა მომხრე მიდის, პროცენტის სიდიდე მაშინვე ორმაგდება, მაგრამ გამოქვეყნებულია ციფრები და ჩანს საინტერესო ტენდენცია, 2012-2013 წლიდან დღემდე არჩევნებიდან არჩევნებამდე ნაციონალების მომხრეები, ანუ ვინც ხმას აძლევს სააკაშვილს, იზრდება.

***— დაავიწყდათ ნაციონალების ავი საქმეები თუ უბრალოდ სხვა არჩევანს ვერ აკეთებენ?***

— არ დავიწყებიათ, მაგრამ მმართველი დაჯგუფებით არიან უკმაყოფილო.

***— 25 კანდიდატი იყო და იმ 25-ში, ორი კანდიდატის გარდა, ამომრჩეველმა ვერავინ ამოარჩია?***

— ვერ ამოარჩია, რადგან იმ კანდიდატებს სერიოზულად არავინ უყურებს.

***— უსუფაშვილი (რომელიც პარლამენტის თავმჯდომარე იყო), კუკავა, შაშიაშვილი ანდრიაძე...***

— უსუფაშვილმა ზურაბ ჯაფარიძეზე ნაკლები ხმა დააგროვა. წინასწარ ვთქვი, რომ ის ხმებს ვერ დააგროვებდა იმიტომ, რომ ადამიანების უმრავლესობა უსუფაშვილს აღიქვამს, როგორც მარგინალს, როგორც არაადეკვატურ ადამიანს. დავით უსუფაშვილს მეც ასე აღვიქვამ. გახსოვთ ალბათ, ორი წლის წინ წარმოდგენა რომ მოაწყო — კედლიდან პლაკატი ჩამოხია და თქვა, გათავისუფლდითო.

როცა შენს მოქმედებაში არაადეკვატური ხარ, ხალხი ხმას არ მოგცემს. სხვებზეც, გვარების ჩამოთვლა არ მინდა, მაგრამ დავით ბაქრაძემ მაინც 10% აიღო, ვაშაძემ — 37%. შედეგით კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ ეს არის პირადად მიხეილ სააკაშვილის რეიტინგი, რადგან, როდესაც ნაცმოძრაობა გაიყო და ევროქოცები გამოჩნდნენ, ევროქოცებს პარლამენტში 22 ადგილი აქვთ.

***— 22 ადგილი პარლამენტში ძალიან ბევრია.***

— მაგას ვამბობ. ნაცებს მხოლოდ 6 დეპუტატი ჰყავთ, მაგრამ, 22 ადამიანს ერთად აღებულს, სადაც ყველა ნაცმოძრაობის ცნობადი სახეა, რეიტინგი ბევრად ნაკლები აქვს, ვიდრე ნაცმოძრაობის 6 დეპუტატს. ასეა იმიტომ, რომ ეს არის პირადად სააკაშვილის რეიტინგი.

***— ზოგი ამბობს, რომ სააკაშვილი ამ პროცესში არ მონაწილეობს და არც არაფერ შუაშია.***

— ეს არასწორი და არაადეკვატური შეხედულებაა. სააკაშვილი ძალიან აქტიურად მონაწილეობს პროცესში. ვაშაძე არის პირადად სააკაშვილის კანდიდატი. სწორედ ამისთვის იბარებდა სააკაშვილი ამსტერდამში მთელ ამ თავის შექმნილ პარტიებს, გაერთიანებულ ოპოზიციას და დაჟინებით მოითხოვდა, ვაშაძისთვის მხარი დაეჭირათ. მე ეს ადამიანი მჭირდებაო.

***— მგონი, თემურ ალასანია იყო ამით დაინტერესებული.***

— რა თქმა უნდა, ვაშაძე თემურ ალასანიას კანდიდატია. ისინი კოლეგები არიან, როგორც რუსეთის მოქალაქეები და საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები. ურთიერთობაც შესაბამისი აქვთ. ამის შემდეგ სააკაშვილის პოპულისტური გამოსვლები მის პოტენციურ მხარდამჭერებზე ეფექტურად მოქმედებს. მაგალითად, მისი განცხადება, მე ბანკებს მოვუვლი და აღარ იქნება ხალხი ასეთი გამწარებული, ჩამოგაწერთ ვალებს, დაახლოებით ასეთი განცხადებები ჰქონდა.



***— დავუშვათ, ნაცმოძრაობა რომ დაბრუნდეს ხელისუფლებაში, რეალურ ცვლილებებს ვერ განახორციელებს და ნორმალურ ვითარებას ვერ შექმნის?***

— ვერა იმიტომ, რომ ჩვენ გვახსოვს სააკაშვილის პრეზიდენტობის ბოლო ხუთი წელი, 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ. გარდა რეპრესიებისა, გარდა სადისტური მოპყრობისა ციხეებში, რომელმაც მოიტანა შესაბამისი შედეგები (ის, რომ 300 ათასზე მეტი ადამიანი გაატარეს პრესში და სხვა ქმედებები, რაც ყველამ ვიცით), არავითარი საერთო-სახალხო აღმავლობა არ ხდებოდა, პირიქით, გროვდებოდა საგარეო ვალი. 13,5 მილიარდი დოლარი დატოვეს სააკაშვილმა, მისმა თანამზრახველებმა და გაიქცნენ საქართველოდან.

***— ახლა გარკვეული პიროვნებები ერთმანეთს მოუწოდებენ, მოვახდინოთ მობილიზაცია განაწყენებული თუ გაუნაწყენებელი ადამიანებისა და მივიყვანოთ საარჩევნო ყუთთანო. თუ ელოდებით, რომ ხალხი რეალურად წავა არჩევნებზე და ნაცმოძრაობას კიდევ ერთხელ ეტყვის არას?***

— ამის გარკვეული მოლოდინი მაქვს, მაგრამ აქაც მრავალი კითხვის ნიშანია. ყოველდღე მე მართლაც მხვდებიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ „ოცნება“ გულზე სრულიადაც აღარ ეხატებათ, „ოცნებას“ მხარს არ უჭერენ, მაგრამ, რადგან საქმე იქამდე მივიდა, რომ ვაშაძის გაპრეზიდენტება ნიშნავს სააკაშვილის, მერაბიშვილისა და სხვების შეწყალებას, თან შეწყალების შემდეგ შეიძლება სააკაშვილი ჩამოვიდეს...

***— რა თქმა უნდა, ჩამოვა.***

— ამიტომ ჩვენ გვერდზე უნდა გადავდოთ ის, რომ აღარ მოგვწონს „ოცნება“ და მაინც ხმა მივცეთ „ოცნების“ მხარდაჭერილ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს, რომ დიდი ბოროტება თავიდან ავიცილოთო. ეს ერთი მხარეა. არიან მეორენი, რომლებიც ამბობენ, ისედაც პოლიტიკური მონოპოლია აქვთ, ყველაფერს აკონტროლებენ. ერთი პრეზიდენტის პოსტი დარჩა და ესეც რომ ხელში ჩაიგდონ, საერთოდ, დაეკარგებათ შემაკავებელი ფაქტორი. ამიტომ იყოს ისევ გრიგოლ ვაშაძე, როგორც საპირწონე. ეგებ ხელი გაანძრიონ და ხალხს რამე გაუკეთონო — ასე მსჯელობს ხალხი. ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს.

აქვე მინდა ვთქვა, თუ დარჩენილ დროში „ოცნება“ ისევ დაუშვებს შეცდომებს, თუ დარჩენილ დროში ისევ გამოვა ივანიშვილი, რომლის საჯარო გამოსვლები უაღრესად წამგებიანია. მე ყველა ინტერვიუში ხაზს ვუსვამ — უდიდეს პატივს ვცემ დიდ ქველმოქმედს, რომლის პიროვნებამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა სააკაშვილის სადისტური რეჟიმის მოცილებაში, მაგრამ ყველა საჯარო გამოსვლაში ამტკიცებს, არ ვარ პოლიტიკოსი და არ მინდა, ვიყო პოლიტიკოსიო. ამიტომ ბოლო ორი ინტერვიუ იყო კატასტროფული. ვინ იცის, რამდენი ხმა დააკარგვინა „ოცნებას“. ეს მე იმდენმა ადამიანმა მითხრა (მე საერთოდ არ მეკარებიან მიშისტები), „ოცნების“ პოტენციურმა მხარდამჭერმა, ამ კაცს თუ ჰგონია, რომ „რუსთავი-2“-ს გამორთავს და მაშინ დავინახავთ, რომ აღმშენებლობაა, ცდებაო.

***— მართლაც წამგებიანია მხოლოდ ერთ ტელევიზიაზე ფოკუსირება.***

— დიახ, ეს იყო მართლაც წამგებიანი. კაცმა, რომელმაც განაცხადა, რომ ბანკებმა გადაჭამეს ქვეყანა, კაცმა, რომელმაც განაცხადა, რომ 3 დღე ცუდად იყო, როდესაც წაიკითხა გაეროს ბავშვთა ფონდის ანგარიში გალატაკების გამო, ამის შემდეგ როგორ ამბობს ეს კაცი (ამბობს ხალხი), „რუსთავი-2“ რომ გამორთოთ, ყველაფერ სიკეთეს დავინახავთო. ბესელიამ გამოაცხადა ტელევიზიით, რომ ახლა უკვე არჩევანია შავსა და თეთრს შორის. ხალხი მეუბნება, ბარემ ფარცხალაძე გამოეყვანათ ეკრანზე და ფარცხალაძეს ეთქვა ჩვენთვის, შავსა და თეთრს შორის არის არჩევანიო. ასე რომ, ხალხში გაღიზიანება დიდია, მათ შორის მათში, ვინც ვაშაძისთვის ხმის მიცემას ნამდვილად არ აპირებდა.

***— საპირწონე პრეზიდენტი მართლა კარგია, მაგრამ ვაშაძის გაპრეზიდენტების შედეგი შეიძლება იყოს სააკაშვილისა და სხვების შეწყალება, სააკაშვილის დაბრუნება, რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა. შემდეგ ნაციონალების აღლუმი იქნება.***

— ანუ თქვენც უშვებთ იმას, რომ რიგგარეშე არჩევნებში პარლამენტში ნაციონალები გაიმარჯვებენ?

***— ბატონო პეტრე, ბოლომდე შეიძლება ვერ გაიმარჯვონ, მაგრამ შეიძლება დიდი პროცენტი აიღონ და, თუ მათთვის ხელსაყრელი კომბინაცია იქნება, შეიძლება კოალიციის შექმნაც შეძლონ. უბრალოდ, არ ვიცი, ვაშაძის პრეზიდენტობის პირობებში რამდენად იქნება შესაძლებელი პროცესების კონტროლი.***

— სწორი მოქმედების შემთხვევაში, როდესაც საკონსტიტუციო უმრავლესობა გყავს პარლამენტში, როდესაც რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა კანონმდებლობით არის რეგლამენტირებული, ამ დროს რა კრიზისი უნდა შეიქმნას ქვეყანაში, რომ რიგგარეშე არჩევნები დაინიშნოს, მაგრამ ამის განცდა ხალხს რომ აქვს, ეს ყველაზე კარგად მეტყველებს იმაზე, რომ ხალხს „ოცნება“ მყარ და სტაბილურ ძალად არ მიაჩნია.

***— კრიზისების სპეციალისტია სააკაშვილი. კრიზისს შექმნიან. სააკაშვილი რომ ჩამოვა, რუსთაველიდან ვერ გაიყვან. ისე შეფუთავენ ვითარებას, ყველაფერი კარგადაც რომ გააკეთოს „ოცნებამ“, მაინც ცუდად გამოჩნდება.***

— კატეგორიულად არ გეთანხმებით. ნებისმიერ ქვეყანაში კრიზისებს ქმნის მთავრობა. ვერავინ ვერაფერს იზამს, თუ მთავრობამ კრიზისი არ შექმნა. სარალიძისა და მაჩალიკაშვილის ამბავი აიღეთ. ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება მოხდეს მოზარდებს შორის სისხლიანი დაპირისპირება. ისიც შეიძლება მოხდეს, რომ ვიღაცამ ხელი დააფაროს რეალურ დამნაშავეებს, მაგრამ აქ მთავარია, ამ ვითარებას ხელისუფლება როგორ მოუვლის (როგორი დაგვიანებით და როგორი საზოგადოებასთან ურთიერთობით). ამან შექმნა კრიზისი.

მაჩალიკაშვილის საქმე უფრო რთულია. კი ბატონო, სპეცოპერაცია იყო. სპეცოპერაციის დროს კაცს ხელები რომ არ აქვს აწეული და თუნდაც ხელში ტელეფონი უჭირავს, ეს შეიძლება იყოს მიზეზი, რომ სპეცრაზმელმა ესროლოს. ამას მაშინვე მეუბნებოდნენ მე უცხოელი ექსპერტები და დიპლომატები. ტელეფონი ეჭირა თუ ხელყუმბარა იმ დროს, როდესაც სპეცოპერაცია დაიწყო, ვინ რას გაარჩევს, მაგრამ საკითხი ოპერატიულად გადასაწყვეტი იყო. მამა რამდენ ხანს ითმენდა, მეუბნებიან, ორ კვირაში, 3 კვირაში გავარკვევთო. მაშინვე უნდა გადაეწყვიტათ — მიეღოთ ზომები ან ეთქვათ, რომ არავითარი გადამეტება არ იყო, ისეთ სიტუაციაში სპეცრაზმის წარმომადგენელს კიდევაც უნდა ესროლა.

გახსოვთ, ლონდონში როგორ გაამართლეს პოლიცია, რომელმაც მეტროში საწყალი სტუდენტი მოკლა. არ დაემორჩილა და პოლიციელს ეგონა, ასაფეთქებელი ჰქონდა. ადგა და ესროლა. სასამართლომ დაამტკიცა, რომ პოლიციელი ინსტრუქციის შესაბამისად მოქმედებდა. ასაფეთქებელი რომ ჰქონოდა, მაშინ წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა. ამიტომ ყველა შემთხვევაში საჭიროა სწრაფი რეაგირება, როცა თვითონ ქმნი კრიზისს, როგორც სააკაშვილმა აბსოლუტურად მშვიდ სიტუაციაში შექმნა 7 ნოემბერი.

***— რა დიდი პრობლემაა, ვინც დამნაშავეა, დაისაჯოს და ეს ადამიანები პარლამენტის წინ აღარ ისხდნენ.***

— მე დეტალებში ვერ შევდივარ. შეიძლება, სარალიძის საქმე ამოწურულიც არის და იმის იქით გამოძიება ვერ მიდის, ყველა დასჯილია, მაგრამ მათმა მოქმედებამ მოიყვანა იქამდე, რომ, მართალია, მადლობა ღმერთს, იქ ხალხი არ გროვდება, მაგრამ ეს ამბავი ძალიან გაიწელა. მაჩალიკაშვილის საქმე გაცილებით რთულია, პანკისთან არის დაკავშირებული. ეს მთლიანად ხელისუფლების პასუხისმგებლობაა. ივანიშვილმა რომ თქვა, ისინი ადგილს უნახავენ ნაცმოძრაობასო, არ არის მართალი, „ოცნება“ თავისი იდიოტური მოქმედებით ადგილს უნახავს რუსთაველზე ნაცმოძრაობას.

# სუსმა ზუგდიდის ყოფილი მერი ლაშა გოგია და ვიცემერი გია გულორდავა დააკავა

გუშინ, 1 ნოემბერს, სუსის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ზუგდიდის ყოფილი მერი და ვიცემერი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე დააკავა.

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ჯგუფურად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყოფილი მერი ლაშა გოგია და ყოფილი ვიცემერი გია გულორდავა დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2018 წლის პირველ ნახევარში ლაშა გოგიამ და გია გულორდავამ, რომლებიც იმ პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის და ვიცემერის თანამდებობებს იკავებდნენ, ქალაქ ზუგდიდში მდებარე გულუას ბაღისა და რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიების იჯარით გასაცემ აუქციონზე გატანის სანაცვლოდ მოქალაქეს ქრთამის სახით მოსთხოვეს და გამოართვეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხა – 21.500 აშშ დოლარი. შეთანხმების მიხედვით, 11.500 აშშ დოლარი განკუთვნილი იყო გულუას ბაღის იჯარით გადაცემისთვის, ხოლო 10.000 აშშ დოლარი – რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის იჯარით გადაცემისთვის.

2018 წლის მაისში იმავე მოქალაქემ 10.000 აშშ დოლარი პირადად გადასცა გია გულორდავას, ხოლო 11.500 აშშ დოლარი მათთვის გადასაცემად 2018 წლის 7 ივნისს ჩარიცხა გია გულორდავას მიერ მითითებული პიროვნების, ხ.ბ-ს, სახელზე, საბანკო გზავნილის სახით, რასაც საბოლოოდ დაეუფლნენ გია გულორდავა და ლაშა გოგია.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 11-დან 15 წლამდე ვადით).

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო“ – აღნიშნულია სუსის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.




# „ლაშა გოგია დაკავებამდე „ოცნების“ ცენტრალურ ოფისში იმყოფებოდა“



ლაშა გოგიასა და გია გულორდავას დაკავებას საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, ლაშა გოგია დღის პირველ ნახევარში „ოცნების“ ცენტრალურ ოფისში იმყოფებოდა. წყარო „ნიუპოსტს“ ეუბნება, რომ გოგიამ მმართველი პარტიის შტაბი გუშინ 14:00 საათზე დატოვა. ვისთან ჰქონდა შეხვედრა გოგიას, უცნობია, თუმცა, სავსებით დასაშვებია, რომ მას და მმართველ გუნდს შორის გარკვეული გარიგება შედგა.

აღსანიშნავია, რომ გოგია სალომე ზურაბიშვილის ზუგდიდის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა. არჩევნების პირველ ტურში განცდილი წარუმატებლობის შემდეგ „ოცნებამ“ სტრატეგია შეცვალა და შესაძლოა, გოგიას დაკავებაც სწორედ ამ სტრატეგიის ნაწილი იყოს.

„ნიუპოსტის“ წყარო ამბობს, ლაშა გოგიას „დაკრიშვას“ დეპუტატი დიტო სამხარაძე ცდილობდა, მაგრამ ეს მცდელობა არ გამოუვიდა.

ენმ-ს ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე ანი წითლიძე ზუგდიდის ყოფილი მერისა და მისი მოადგილის დაკავებას გამოეხმაურა.

– ზუგდიდის ყოფილი მერი გოგია, რომელიც „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე იყო და საარჩევნო შტაბი ებარა, დაკავებულია.

დაკავებულია ვიცემერი გულორდავაც.

დათქმა ჰქონდა ორივეს – ან არჩევნები უნდა მოეგოთ ზუგდიდში, ან დაიჭერდნენ.

„ქართული ოცნება“ – ამას გეუბნებოდით ორი თვე და, სანამ არჩევნები არ წააგეთ, ვერ მიხვდით.

აწი არ გიშველით, – აცხადებს ანი წითლიძე.

## ვიტალი საფაროვის მკვლელობაში ბრალდებულს ბრალი დაუმძიმდა



ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმეზე ბრალდებულს ბრალი დაუმძიმდა.

საქმე რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო განზრახ მკვლელობის ჩადენის მუხლით გადაკვალიფიცირდა, ეს კი 13-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბრალი დაკავებულს მას შემდეგ დაუმძიმდა, რაც გამოძიებამ ახალი მოწმეები გამოკითხა.

მუხლის გადაკვალიფიცირების პარალელურად, ვიტალი საფაროვის დედა პროკურატურამ დაზარალებულად უკვე მეორედ ცნო.

ამის შესახებ ინფორმაცია უწყებაში მისულ ოჯახის წევრებს მიაწოდეს.

# პირი, რომელმაც ეკა გიგაურს მუქარის შემცველი შეტყობინება გაუგზავნა, იდენტიფიცირებულია

გუშინ, 1 ნოემბერს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური პროკურატურაში გამოიკითხა.

ეკა გიგაურმა მუქარის შემცველი შეტყობინების მიღებასთან დაკავშირებით პროკურატურას 16 ოქტომბერს მიმართა. როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადებაშია ნათქვამი, 13 ოქტომბერს ეკა გიგაურმა აგრესიული შეტყობინება მიიღო, რომელიც, ბილწსიტყვაობასთან ერთად, მუქარასაც შეიცავდა. არასამთავრობო ორგანიზაციის შეფასებით, მუქარის შემცველი შეტყობინებები მას შემდეგ გააქტიურდა, რაც ხელისუფლების წარმომადგენლებმა სამოქალაქო სექტორის წინააღმდეგ შეტევა წამოიწყეს.

ადვოკატ დიმიტრი ხაჩიძის განცხადებით, პირი, რომელმაც ეკა გიგაურს სოციალურ ქსელში მუქარის შემცველი შეტყობინება გაუგზავნა, იდენტიფიცირებულია.

როგორც ადვოკატმა ეკა გიგაურის გამოკითხვის შემდეგ განაცხადა, მისმა კლიენტმა გამოძიებას სრული ინფორმაცია მიაწოდა.

– გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით, ეს არის მუქარა. გამოძიება საწყის ეტაპზეა, პირველადი საგამოძიებო მოქმედება იყო გატარებული. გამოიკითხა ეკა გიგაური. ჩვენ მივაწოდეთ ინფორმაცია სავარაუდო პირზე, დროსა და თარიღზე.

შემდგომი ეტაპი უკვე გამოძიების საქმეა. ჩვენ თანამშრომლობისთვის ღია ვართ. ნებისმიერ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობას



მივიღებთ. ეს პირი იდენტიფიცირებულია. ტელეფონიც დაათვალიერეს, – განაცხადა დიმიტრი ხაჩიძემ.

## გორში მამაკაცმა ცოლს სცემა, დედა დაჭრა, შვილს კი პირში ნარკოტიკები ჩაუტენა

ახალგაზრდა მამაკაცმა ცოლს სცემა, დედა დაჭრა, შვილს კი პირში ნარკოტიკები ჩაუტენა. შემთხვევა რამდენიმე დღის წინ გორში მოხდა.

როგორც „დიასთვის“ გახდა ცნობილი, მამაკაცი ბადრაგის მეთვალყურეობის ქვეშ სამედიცინო ცენტრ „გორმედში“ ამ დრომდე იმყოფება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავების პროცესში მამაკაცს დიდი რაოდენობით ნარკოტიკი აღმოაჩნდა.

მას გამოძიება ოჯახში ძალადობასა და ნარკოტიკის შეძენა-შენახვას ედავება.

## ქედაში აფეთქების დროს 6 წლის ბავშვის დაღუპვის გამო თურქეთის 3 მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ფეთქებადი ნივთიერების წესების დარღვევით გამოყენების ფაქტზე, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები: 1990 წელს დაბადებული მ.ჯ., 1975 წელს დაბადებული ჰ.ქ. და 1987 წელს დაბადებული ზ.ჩ. დააკავეს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს, ქედის რაიონის სოფელ ჭინკაძეებში, შპს „სტრუიკ გრუპ ჯორჯიას“ ქვეკონტრაქტორი შპს „ალბაირაქისა“ და შპს „დინამიტი-ლ.დ“-ს თანამშრომლები, გამოძიების პირველადი ინფორმაციით, უკანონოდ და უსაფრთხოების წესების დარღვევით აწარმოებდნენ ბურღვა-აფეთქებით სამუშაოებს. ძლიერი აფეთქების შედეგად გასროლილი ქვა თავის არეში მოხვდა 2012 წელს დაბადებულ გ.ო.-ს, რომელიც მიყენებული დაზიანების გამო ადგილზე გარდაიცვალა.



მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 244-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ფეთქებადი ნივთიერების წესების დარღვევით გამოყენებას გულისხმობს. გამოძიების პროცესში მტკიცებულებების მოპოვების შედეგად, შესაძლოა, გამოიკვეთოს სხვა პირთა პასუხისმგებლობის საკითხი“, – ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

## ქორწილიდან მომავალი პატარძალი ავარიაში დაიღუპა

ქედაში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 2 ადამიანი დაიღუპა, ერთი კი მძიმედ დაშავდა. იგი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თვითმხილველებმა განუცხადეს, მსუბუქი ავტომობილი ბათუმი-ქედის დამაკავშირებელ გზაზე, სოფელ დოლოგანში მილს დაეჯახა.

დაღუპულთა შორის არიან 15 წლის მოზარდი და 22 წლის პატარძალი, რომელსაც 31 ოქტომბერს ბათუმში ქორწილი ჰქონდა და სოფელში, სახლში ბრუნდებოდა.

ფაქტზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის 5 ნაწილით დაიწყო, რაც სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## მარნეულში „ჯეოსელის“ ოფისი გაძარცვეს

მარნეულში „ჯეოსელის“ ოფისი გაძარცვეს. წაღებულია სხვადასხვა სახის ტექნიკა.

– მე როცა მოვედი ადგილზე, უკვე პოლიცია იყო მოსული. ვერ მივხვდით, აქ რას აკეთებდნენ. მერე გვითხრეს, მაღაზია გაძარცვესო. აქ ჩვენი კამერებიც ჩართულია, მაგრამ არავის არ შეუმოწმებია, – განაცხადა „ჯეოსელის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით დაიწყო, რაც ქურდობას გულისხმობს.



## მამუკა ხეცურიანი კიევში დააკავეს



28 წლის პოლონელი ქალის მკვლელობაში ეჭვმიტანილი საქართველოს მოქალაქე კიევში დააკავეს.

პოლონეთის პოლიციის ცნობით, ბრალდებული 1 ნოემბერს დააკავეს.

– დაკავება შესაძლებელი გახდა უკრაინის პოლიციასთან სამაგალითო თანამშრომლობის, უკრაინაში საქართველოსა და პოლონეთის სამეკავშირეო ოფიცრის მხარდაჭერისა და ინტერპოლის სათავო ოფისის თანამშრომლობის მეშვეობით, – ნათქვამია პოლონეთის პოლიციის განცხადებაში.

პოლონეთში ახალგაზრდა ქალის გაუპატიურებისა და მკვლელობისთვის საქართველოს მოქალაქეს მამუკა ხეცურიანს ინტერპოლი ეძებდა.

მამუკა ხეცურიანი წარმოშობით ქუთაისიდან არის.

პოლონეთის პოლიციის ინფორმაციით, მან ქალაქი ლოძი 20 ოქტომბერს დატოვა და 21 ოქტომბერს პოლონეთი-უკრაინის საზღვარი გადაკვეთა.

## ბაღდათში ქურდობისთვის 4 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ბაღდათის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 4 პირი: 1997 წელს დაბადებული გ.ა., 1997 წელს დაბადებული ო.ბ., 1998 წელს დაბადებული თ.დ. და 1997 წელს დაბადებული დ. ჭ., ჯგუფურად ჩადენილი ქურდობის ბრალდებით, ბაღდათში დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა ქალაქ ბაღდათში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე სწრაფი ჩარიცხვის აპარატი მოიპარეს, ერთ-ერთი ბრალდებულის კუთვნილ ავტომანქანაში მოათავსეს და შემთხვევის ადგილიდან მიმალვას ცდილობდნენ, რა დროსაც სამართალდამცველებმა დააკავეს.პოლიციამ ნაქურდალი სწრაფი ჩარიცხვის აპარატი, ასევე, ავტომობილი და ხელსაწყოები, რომლებიც დაკავებულებმა დანაშაულის ჩასადენად გამოიყენეს, ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“, – აცხადებენ შს სამინისტროში.

# სომხეთში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გაიმართება




სომხეთის პარლამენტმა გუშინ, 1 ნოემბერს, გამართულ სპეციალურ სხდომაზე მეორედ ჩააგდო ნიკოლ პაშინიანის კანდიდატურა პრემიერ-მინისტრის პოსტზე, რაც იმას ნიშნავს, რომ სომხეთში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ნიკოლ პაშინიანი პრემიერ-მინისტრის პოსტიდან 16 ოქტომბერს გადადგა. მისი გადადგომის მიზეზი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამართვა იყო.

მას შემდეგ, რაც პარლამენტმა მისი კანდიდატურა ორჯერ ჩააგდო, სომხეთის კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის დათხოვნა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მოხდება.

უახლოეს დროში ცნობილი გახდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ზუსტი თარიღი, რომელიც დეკემბრის პირველ ნახევარში უნდა გაიმართოს.

# რუსული სპეცსამსახურები უკრაინელი ოფიცრების ცოლების გადაბირებას ცდილობენ

უკრაინის უშიშროების სამსახურმა (სბუ)) საზოგადოებას ჯაშუშების გადაბირების მცდელობაზე ამცნო. ამჯერად საქმე უკრაინული არმიის ოფიცერთა ცოლებს შეეხება.

სამხედრო კონტრდაზვერვის ყურადღების სფეროში რამდენიმე სიმპათიური ქალი მოექცა. ყველა მათგანი ოფიცრის ცოლი გახლდათ. კონტრდაზვერვამაც მათ მიმართ სათანადო ღონისძიებები განახორციელა. ქალებმა სბუ-თან თანამშრომლობაზე თანხმობა განაცხადეს. სანაცვლოდ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდნენ.

ერთ-ერთი ქალი პეტერბურგში ნათესავების მოსანახულებლად გაემგზავრა. რუსეთის უშიშროების სამსახურმა ის დააკავა. ქალისგან მოითხოვდნენ, რუსეთის დაზვერვისთვის სამხედრო ხასიათის ცნობები შეეკრიბა.

– მათთვის უნდა მიმეწოდებინა ინფორმაცია ჩემი ქმრის ნაწილის დისლოკაციის თაობაზე, იმაზე, თუ რა შეიარაღება გააჩნიათ, რა განწყობილებებია ნაწილში და ა.შ. – განაცხადა დაკითხვაზე ქალმა.

ოფიცრის ცოლმა აღნიშნა, რომ უარის შემთხვევაში ნათესავების შევიწროებით დაემუქრნენ.

მსგავსი დამუშავება განიცადეს სხვა ქალებმაც, რომლებიც ნათესავების სანახავად გორლოვკას ესტუმრნენ.




# „შეწყდეს მოლაპარაკებები საუდის არაბეთთან!“

## რას ითხოვენ ტრამპისგან სენატორები



სენატორი მარკო რუბიო და სენატორები დემოკრატიული პარტიიდან ტრამპს საუდის არაბეთთან მოლაპარაკებების შეჩერებისკენ მოუწოდებენ.

მიზეზად სახელდება ჟურნალისტ ჰაშოგის მკვლელობა და საუდის არაბეთის პოლიტიკა იემენსა და სირიაში.

– თუ ტრამპი საუდის არაბეთთან მოლაპარაკებებს არ შეაჩერებს, ჩვენ ჩვენს უფლებებს გამოვიყენებთ და მათ დავბლოკავთ, – ამბობს რუბიო.

აშშ საუდის არაბეთთან ატომის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების გარშემო მოლაპარაკებებს აწარმოებს. რუბიო სწორედ ამ მოლაპარაკებების დაბლოკვით იმუქრება.

# მაკრონს დადებითად საფრანგეთის მოქალაქეების 21% აფასებს

გამოკითხვის თანახმად, საფრანგეთის მოქალაქეების მხოლოდ 21% აფასებს დადებითად ქვეყნის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის ქმედებებს.

გამოკითხვის შედეგების თანახმად, რესპონდენტთა 21% დადებითად აფასებს ემანუელ მაკრონის საქმიანობას, რაც 4%-ით ნაკლებია, ვიდრე წინა თვეს იყო, 69%-მა კი განაცხადა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის საქმიანობას კრიტიკულად აფასებს.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ ედუარ ფილიპის რეიტინგი ოქტომბრის თვესთან შედარებით არ შეცვლილა და კვლავ უფრო მაღალია, ვიდრე საფრანგეთის პრეზიდენტის – 27%.

გამოკითხვა 24-25 ოქტომბერს ჩატარდა. მასში მონაწილეობა 1010 ადამიანმა მიიღო.

გამოკითხვის ცდომილება მითითებული არ არის.



# ანგელა მერკელი კიევში ჩავიდა




გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი კიევში ჩავიდა. ის შეხვდა პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს, პარლამენტის სპიკერ პარუბიის, პრემიერ გროისმანს.

მერკელისა და პოროშენკოს მოლაპარაკებების ძირითადი თემები უკრაინა- გერმანიის ურთიერთობები, დონბასის კონფლიქტის დარეგულირება, უკრაინის ევროინტეგრაცია იყო.

– დონბასის კონფლიქტის დასარეგულირებლად მინსკის შეთანხმებების სრულად შესრულებაა აუცილებელი, – თქვა მერკელმა.

# ვინ ააფეთქა არხანგელსკის ფსბ?

არხანგელსკის გუბერნატორმა ორლოვმა განაცხადა, რომ ადგილობრივი ფსბ-ს შესასვლელთან აფეთქება მარტოხელა ტერორისტმა განახორციელა. ის ადგილზე დაიღუპა.

– მარტოხელა ტერორისტი 17 წლის იყო, – ამბობს ორლოვი.

გუბერნატორის აზრით, რეგიონში არავითარი ტერორისტული ორგანიზაცია არ მოქმედებს. უსაფრთხოების ზომების გაძლიერებასაც აზრი არ აქვს.



# რუსეთმა უკრაინის მოქალაქეებს სანქციები დაუწესა



რუსეთის პრემიერმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელიც უკრაინის მაღალი თანამდებობის პირებისთვის რუსეთის ტერიტორიაზე შეზღუდვებს ითვალისწინებს.

ამიერიდან მათი ანგარიშები რუსეთის ბანკებში გაიყინება. მათ აღარ შეეძლებათ თავიანთი კაპიტალის რუსეთიდან გატანა და ა.შ.

სანქციების სიაში მოხვდნენ უკრაინის პარლამენტის სპიკერი პარუბიი, თავდაცვის მინისტრი პოლტორაკი, შს მინისტრი ავაკოვი, უკრაინის კონსტიტუციური სასამართლოს მოსამართლენი, პოროშენკოს ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# დაბადების დღეზე ნაჩუქარმა ლატარიის ბილეთმა ქალს მილიონი მოაგებინა

კანადის სასკაჩევანის პროვინციის ქალაქ რეჯაინის მცხოვრებმა ქალბატონმა დაბადების დღეზე საჩუქრად ლატარიის ბილეთი მიიღო და მილიონი კანადური დოლარი მოიგო.

– შვილიშვილმა მკითხა, თუ რა მსურდა დაბადების დღისთვის, – განაცხადა ეტელ კლარკსონმა, – არაფრის თხოვნა არ მსურდა და ამიტომ ვუპასუხე: „იქნებ ლატარიის ბილეთი.“

მისი თქმით, ვერაფრით წარმოიდგენდა, თუ ნაჩუქარი ლატარიის ბილეთი მომგებიანი აღმოჩნდებოდა.

კლარკსონი მოგებული თანხის ნაწილით ახალი ავტომობილის შეძენას აპირებს და, მისი თქმით, ეს „ფერარი“ ნამდვილად არ იქნება. გარდა ამისა, ის ვალების გასტუმრებას, ხოლო დარჩენილი თანხის ნათესავებისთვის განაწილებასა და მომგებიან საქმეში დაბანდებას აპირებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




# განცხადებები

## სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ბასილაშვილმა ოცეულისკენ გაიხედა



ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა წლევანდელი სეზონი დაასრულა. ბოლო ტურნირი, რომელშიც ჩვენებური მონაწილეობდა, პარიზის მასტერსი იყო.

პირველ ეტაპზე ეტაპზე ბასილაშვილმა ავსტრალიელ ჯოლ მილმენს (35) სძლია. ჩვენებურმა პირველი სეტი 6:4 მოიგო, ხოლო შემდეგ მეტოქემ ასპარეზობა ტრავმის გამო ველარ გააგრძელა და ბასილაშვილს გამარჯვება ჩაეთვალა.

მთავარი მეთექვსმეტედფინალი იყო, სადაც მეტოქედ მსოფლიოს მე-6 ჩოგანი, სამხრეთაფრიკელ კევინ ანდერსონი ჰყავდა. გეხსომებათ, რამდენიმე დღის წინ ბასილაშვილი ვენის ტურნირზე სწორედ ანდერსონთან დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა. რევანში არ შედგა – სამხრეთამერიკელმა ამჯერადაც იმარჯვა. ბასილაშვილი კვლავაც დაძაბულ ბრძოლაში 3 სეტში ანგარიშით 3:6, 7:6, 6:7 დამარცხდა.

ამ ტურნირზე ბასილაშვილმა ქულები აკრიფა და დიდი ალბათობით, განახლებულ რეიტინგში მსოფლიოს 20 საუკეთესო ჩოგბურთელს შორის უნდა ვიხილოთ.

# ნბა-ში ვაგებთ, ევროთასებზე ვიგებთ



ზაზა ფაჩულიას დეტროიტ პისტონსმა ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგი მატჩი ამჯერად სტუმრად ბრუკლინთან გამართა და ოვერტაიმში ანგარიშით 119:120 დამარცხდა. ეს მარცხი პისტონსისთვის ზედიზედ მესამე გამოდგა.

ფაჩულია თამაშში სათადარიგო სკამიდან ჩაერთო და პარკეტზე სულ 13 წუთი გაატარა და ამ დროის განმავლობაში გუნდს 9 ქულითა და 3 პასით დაეხმარა. ზაზამ 5-დან 3 ორქულიანი ჩააგდო და სამიდან სამივე საჯარიმო.

აღსანიშნავია დეტროიტელთა მთავარი ცენტრის ანდრე დრამონდის გარჯა, რომელმაც 24 ქულას 23 მოხსნა მიამატა და ამ მაჩვენებლით ორივე გუნდის შემადგენლობაში ბადალი არ ჰყავდა.

ამ მარცხის შემდეგ, დეტროიტი აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-7 ადგილამდე დაქვეითდა. ფაჩულიას გუნდი მომდევნო მატჩს სტუმრად ფილადელფიასთან გამართავს.

ულებ-ის ევროთასზე გიორგი შერმადინის უნიკახამ მორიგი, გასვლითი გამარჯვება მოიპოვა. მალაგელები ტურინში ტორინოს ესტუმრნენ და დაძაბულ, დრამატულ ბრძოლაში 105:104 გაიმარჯვეს.

შერმადინი სათადარიგო იყო. ქართველმა ცენტრმა მოედანზე გატარებულ 21 წუთში 14 ქულა, 6 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა. გიორგიმ 9-დან 6 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო.

5 ტურის შემდეგ უნიკახას 4 მოგება აქვს და ჯგუფს ყაზანის უნიკსთან ერთად ლიდერობს. ევროთასზე მალაგელებს მომდევნო მატჩი შინ ლიეტუვურ რიტასთან ელით.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი წევრი, თად მაკფადენი კვლავ შეუჩერებელია და წარმატებულ თამაშს ევროასპარეზზეც აგრძელებს. ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგაში მაკფადენის ტენერიფემ მორიგი მატჩი იტალიაში, ვენეციის წინააღმდეგ გამართა და საქართველოს ნაკრების წევრის წინამძღოლობით გამარჯვებას მიაღწია – 72:65.

თადი, ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 25 წუთში 21 ქულა და 1 ჩაჭრა მიითვალა. საქართველოს ნაკრების კალათბურთელმა 7-დან 4 ორქულიანი, 6-დან 2 სამქულიანი და 7-ვე საჯარიმო ჩააგდო. საინტერესოა, რომ ვენეციელთა რიგებში საუკეთესო საქართველოს ეროვნული გუნდის ყოფილი ნატურალიზებული ამერიკელი უკანახაზელი მარკიზ ჰეინსი იყო, რომელმაც 32 წუთში 19 ქულა მოაგროვა. შეგახსენებთ, რომ ჰეინსი ჩვენი ნაკრების ღირსებას ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე იცავდა, სადაც მისი საშუალო მონაგარი 8.0 ქულა, 1.6 მოხსნა, 1.2 პასი და 0.9 დაფარება გახლდათ.

ტენერიფეს 4 მოგება აქვს და ჩემპიონთა ლიგის ბ ჯგუფს მაქსიმალური შედეგით ლიდერობს. ესპანურ გუნდს მომდევნო მატჩი შინ ელის, როდესაც ისრაელის წარმომადგენელ ჰოლონს უმასპინძლებს.

# შედეგები

**31 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ლიგის თასი**

არსენალი-ბლექპული .................... 2:1
ვესტ ჰემი-ტოტენჰემი .................... 1:3
ჩელსი-დერბი .................................. 3:2
მიდლსბრო-კრ.პალასი ................. 1:0

**ესპანეთი. სამეფო თასი**

მელილია-რეალი ............................ 0:4
ალავესი-ხირონა ............................ 2:2
კორდობა-ხეტაფე ........................... 1:2
მალიორკა-ვალიადოლიდი ............ 1:2
ლეონესა-ბარსელონა ..................... 0:1

**გერმანია. თასი**

დორტმუნდი-უნიონი .............. 3:2(დდ)
ფლენსბურგი-ვერდერი ................. 1:5
ჰანზა-ნიურნბერგი 1:1 ...............(2:4პ)
კიოლნი-შალკე 1:1 ......................(5:6პ)
არმინია-დუისბურგი ...................... 0:3
გლადბახი-ლევერკუზენი ............... 0:5
ლაიპციგი-ჰოფენჰაიმი ................... 2:0
კილი-ფრაიბურგი ........................... 2:1

**იტალია. სერია ა**

მილანი-ჯენოა ................................. 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 10 | 9 | 1 | 0 | 21:7 | 28 |
| 2.ინტერი | 10 | 7 | 1 | 2 | 16:6 | 22 |
| 3.ნაპოლი | 10 | 7 | 1 | 2 | 19:11 | 22 |
| 4.მილანი | 10 | 5 | 3 | 2 | 20:14 | 18 |
| 5.ლაციო | 10 | 6 | 0 | 4 | 13:12 | 18 |
| 6.ფიორენტინა | 10 | 4 | 3 | 3 | 16:8 | 15 |
| 7.სამპდორია | 10 | 4 | 3 | 3 | 14:7 | 15 |
| 8.რომა | 10 | 4 | 3 | 3 | 17:13 | 15 |
| 9.სასუოლო | 10 | 4 | 3 | 3 | 17:16 | 15 |
| 10.ტორინო | 10 | 3 | 5 | 2 | 12:12 | 14 |
| 11.ჯენოა | 10 | 4 | 2 | 4 | 16:19 | 14 |
| 12.კალიარი | 10 | 3 | 4 | 3 | 9:11 | 13 |
| 13.პარმა | 10 | 4 | 1 | 5 | 10:14 | 13 |
| 14.ატალანტა | 10 | 3 | 3 | 4 | 17:12 | 12 |
| 15.სპალი | 10 | 4 | 0 | 6 | 8:13 | 12 |
| 16.უდინეზე | 10 | 2 | 3 | 5 | 10:15 | 9 |
| 17.ბოლონია | 10 | 2 | 3 | 5 | 8:14 | 9 |
| 18.ემპოლი | 10 | 1 | 3 | 6 | 9:15 | 6 |
| 19.ფროზინონე | 10 | 1 | 2 | 7 | 9:24 | 5 |
| 20.კიევო | 10 | 0 | 2 | 8 | 8:26 | -1 |

**შენიშვნა:** კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

**იტალია. სერია ბ**

სალერნიტანა-ლივორნო ............... 3:1
ლეჩე-კროტონე ............................... 1:0

**რუსეთი. თასი**

ორენბურგი-ტიუმენი ...................... 1:0
ურალი-ნ.ნოვგოროდი 2:0 ........... (დდ)
ახმატი-არსენალი ........................... 0:2
ლოკომოტივი-ენისეი ...................... 4:1

# ტორპედომ დინამო დაამარცხა და სამეულში შევიდა



**დინამო-ტორპედო 0:1**

**თბილისი. დინამო არენა**

**0:1 კაპანაძე (9)**

**დინამო:** სიკაჩი, რუხაია, თოთაძე, ლოჩოშვილი (ხარაბაძე 64), კობოური, ზივზივაძე, შულაია, ვაწაძე (ქოჩლაძე 77), ივანისენია (კუცია 64), შენგელია, ნინუა

**ტორპედო:** კვასხვაძე, ხურცილავა (მარინი 55), ცინცაძე, დაფე, კაპანაძე (კუხიანიძე 77), აზაცკი, გეგეჭკორი, დოლიძე (კუტალია 66), ქიმაძე, კობახიძე, გიგაური

ეროვნული ლიგის 22-ე ტურის გადადებულ შეხვედრაში თბილისის დინამომ ქუთაისის ტორპედოს უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა.

პრინციპული მეტოქეების დაპირისპირებაში, რომელსაც ორივე გუნდისთვის სატურნირო თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. დინამო საქართველოს ჩემპიონობისთვის გააფთრებული იბრძვის და ლიდერ საბურთალოსთან 5 ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრას ცდილობს, ხოლო გასული სეზონის ჩემპიონი, რომელსაც ზაფხულში ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ხანგრძლივი გამოსვლის გამო რამდენიმე ტურის მატჩი გადადებული ჰქონდა სამეულში შესვლას ლამობს.

ამ მატჩამდე დინამომ 4 მატჩი მარცხი რა იყო, არ იცოდა, ხოლო ტორპედომ 13-მატჩიანი წაუგებელი სერია ერთით გაიხანგრძლივა.

ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო. თბილისელები პირველ ნომრად თამაშობდნენ, ხოლო ქუთაისელები ხეირის ნახვას უმეტესად კონტრშეტევებზე ცდილობდნენ. ამან შედეგი გამოიღო: მე-9 წუთზე შორი დისტანციიდან გიორგი ქიმაძის გასროლილი ბურთი სტეფან სიკაჩმა არადამაჯერებლად მოიგერია, ყველას კი თორნიკე კაპანაძემ დაასწრო და ერთი შეხებით გოლის გატანა არ გასჭირვებია.

გოლის შემდეგ მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა. იყო ეპიზოდები, მთავარ მსაჯს, გიორგი ყრუაშვილს ორივე გუნდის კარში პენალტის დანიშვნაც რომ შეეძლო. დინამო უტევდა, თუმცა ანგარიშის გათანაბრება ვერ მოახერხეს. ნახევარი საათის თავზე დინამოელებმა 2 რეალური მომენტი გაუშვეს ხელიდან: ჯერ ნიკა ნინუას დარტყმული გამოდგა არაზუსტი, შემდეგ კი აკაკი შულაიას უძლიერესი დარტყმული როინ კვასხვაძემ მოიგერია.

ტაიმის ბოლოს გუნდებმა თითო სახიფათო შეტევა გაცვალეს, ხელსაყრელი მომენტები არფანგ დაფემ და აკაკი შულაიამ ვერ გამოიყენეს.

მე-2 ტაიმის დებიუტში ბუდუ ზივზივაძემ ითამაშა კარგად, შეტევის მარცხენა ფრთაზე მამუკა კობახიძეს გასცდა და საჯარიმოში მათე ვაწაძეს უპასა, მისი დარტყმული დავით ხურცილავას მოხვდა. თბილისელები თერთმეტმეტრიანს ითხოვდნენ, მსაჯმა კი თამაში გააგრძელა.

75-ე წუთზე ზივზივაძის კარგი გადაცემა და ლაშა ქოჩლაძის დარტყმული კვასხვაძის ნადავლი გახდა. ბოლო წუთებზე დინამო ბევრს ეცადა, თუმცა ვერაფრის შეცვლა ვერ მოახერხა. მეტიც, ბურთს ძირითადად ტორპედოელები აკონტროლებდნენ და საკმაოდ კარგადაც. მომენტებიც მრავლად შექმნეს – ლაზარ მარინს, დაფესა და ლევან კუტალიას გატანა მართებდათ. ხოლო მე-80 წუთზე ქუთაისელებმა ისეთი „ტიკი-ტაკა“ გაითამაშეს, რომ ზედიზედ 32 ზუსტი პასი შეასრულეს, რასაც დინამოს გულშემატკივრის ოვაციებიც კი მოჰყვა.

ჩემპიონატის დასრულებამდე 6 ტურით ადრე დინამოს 62 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში კვლავ მეორე ადგილზეა, ხოლო ტორპედომ 55 ქულას მოუყარა თავი და მესამე პოზიციაზე გამაგრდა.

**კახა ჩხეტიანი:**

– კმაყოფილი ვარ. მინდა, ჩემს ფეხბურთელებს მადლობა გადავუხადო. ვფიქრობ, რომ სანახაობრივი ფეხბურთი აჩვენეს და პლუს, 3 ქულა აიღეს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ მომენტისათვის. ჩემპიონობის შანსი, პრაქტიკულად, დაკარგულია, თუმცა რეალურია, რომ ევროპა ლიგაზე მოვხვდეთ და პროგრამა-მინიმუმი შევასრულოთ. პირველ წრეში ბევრი ქულა დავკარგეთ. ჩემპიონატის დასაწყისში რომ გვქონოდა შესაძლებლობა, ასეთი გუნდი შევკრებილიყავით, ჩემპიონობისთვისაც ვიბრძოლებდით.

**კახა კაჭარავა:**

– უპირატესობა ჰქონდა ტორპედოს. გოლის შემდეგ ნერვიულობა დავიწყეთ და ის თამაში არ გამოგვივიდა, რაც გვინდოდა. შეგვეძლო ფრე გვეთამაშა, მაგრამ საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ. ასეთ თამაშში არავინ მოგცემს 5 და 10 მომენტს. გექნება 1-2 მომენტი, რომელიც უნდა გამოიყენო. რომ მოგვეგო, სხვაობა საბურთალოსთან 2 ქულამდე მცირდებოდა. კიდევ არის თამაშები დარჩენილი. ანალიზი უნდა გავაკეთოთ, ეს თამაში დავივიწყოთ და ვიფიქროთ შემდეგი თამაშის მოგებაზე.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 30 | 21 | 4 | 5 | 55-25 | 67 |
| 2.დინამო | 30 | 19 | 5 | 6 | 61-26 | 62 |
| 3.ტორპედო | 30 | 16 | 7 | 7 | 47-23 | 55 |
| 4.ჩიხურა | 30 | 16 | 5 | 9 | 46-28 | 53 |
| 5.დილა | 30 | 13 | 11 | 6 | 49-36 | 50 |
| 6.ლოკომოტივი | 30 | 9 | 6 | 15 | 34-48 | 33 |
| 7.რუსთავი | 30 | 6 | 12 | 12 | 28-38 | 30 |
| 8.სიონი | 30 | 6 | 7 | 17 | 29-52 | 25 |
| 9.სამტრედია | 30 | 3 | 9 | 18 | 25-61 | 18 |
| 10.კოლხეთი | 30 | 4 | 8 | 18 | 25-62 | 14 |

**შენიშვნა:** კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა

# მოურინიუ მანჩესტერელთა გრძელვადიანი პერსპექტივაა



ისევ გაურკვევლობა, ისევ ყურადღების ცენტრში მანჩესტერ იუნაიტედი. ამჯერად პრესის ფურცლებზე, კლუბის აღმასრულებელი დირექტორი ედ ვუდვორდი მოხვდა.

კერძოდ, ვუდვორდი ჟოზე მოურინიოსთან დათქმულ შეხვედრაზე უნდა მისულიყო, მაგრამ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო და სასაუბროდ არ გამოცხადდა. ბრიტანული მედიის ცნობით, ამ შეხვედრაზე ზამთრის სატრანსფერო ფანჯარაზე განსახორციელებელი ტრანსფერები უნდა განხილულიყო, განხილვის საგანი იყო ასევე სპორტული დირექტორის პოსტი.

გავრცელებული ცნობით, ვუდვორდმა მრგვალ მაგიდასთან მისვლა ბოლო მომენტში გადაიფიქრა, რამაც „წითელი ეშმაკების“ თავკაცი ძალიან განარისხა. ამ ყველაფერმა კი ძალიან შეუწყო ხელი ვუდვორდისა და მოურინიოს ურთიერთობის დაძაბვას.

პრესა ასევე იუწყება, რომ ეს ფაქტი შესაძლოა მოურინიოს კლუბიდან წასვლას უკავშირდებოდეს, რაც შეიძლება ზამთრის სატრანსფერო ფანჯარაზე მოხდეს, მაგრამ...

იუნაიტედში მომავალზე ფიქრი აქედანვე დაიწყეს და წყალი მოურინიუს კი არა, სწორედ ვუდვორდს შედგა. ზოგი იფიქრებს, რომ ეს ფიქრები მხოლოდ ზამთრის სატრანსფერო ფანჯარას ეხება, ეხება, იმ ახალ რამოდენიმე ფეხბურთელს რომელიც აუცილებლად მოვა ან წავა, ან სულაც იმასაც თუ როგორ უნდა ამუშავდეს ახალი პოსტი რომელიც მალე შეიქმნება, იგულისხმება სპორტული დირექტორის თანამდებობა.

საქმე კი სულ სხვა რამეშია: იუნაიტედში სერიოზული მოლაპარაკებები მიმდინარეობს სხვა უფრო მნიშვნელოვან თემაზეც და მიმდინარეობს ჟოზე მოურინიოსთან, რატომ? იმიტომ, რომ გუნდი პორტუგალიელ სპეციალისტს სრულ ნდობას უცხადებს.

ისეთი ავტორიტეტული სამაუწყებლო კომპანია როგორიცაა სკაი სპორტი, იუწყება, რომ „წითელი ეშმაკების“ ხელმძღვანელობა მზადაა ჟოზესთან როგორც ზამთრის ასევე ზაფხულის სატრანსფერო გეგმებიც განიხილონ.

ალბათ ბევრს გაუკვირდება რატომ ზაფხულის... დიახ, ზაფხულის, რადგან მანჩესტერის ბოსები „განსაკუთრებულს“ კლუბის გრძელვადიან პერსპექტივად მიიჩნევენ, მიუხედავად იმ სპეკულაციებისა, რომელიც ბოლო დროს ტრიალებს კლუბის თავს ახალი მწვრთნელის მოსვლის თაობაზე.

# ძალოსნები მსოფლიოს ჩემპიონატზე ახალწვეულით გაემგზავრნენ

საქართველოს ძალოსანთა ნაკრები თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადშია და მსოფლიო ჩემპიონატზე მიიღებს მონაწილეობას, რომელიც 10 ნოემბრამდე გაიმართება.

ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის გიორგი ასანიძის გადაწყვეტილებით, მსოფლიო ჩემპიონატზე ის 7 ძალოსანი გავა, რომლებიც ამ ეტაპისთვის ოპტიმალურ ფორმაში არიან.

გაგაცნობთ საქართველოს ნაკრების შემადგენლობას წონითი კატეგორიების მიხედვით:

შოთა მიშველიძე (61), გოგა ჩხეიძე (67), რეზი დავითაძე (89), ანტონ პლესნოი (96), ირაკლი ჩხეიძე (102), ირაკლი თურმანიძე, ლაშა ტალახაძე (+109).

შემადგენლობაში ახალი სახეა – ანტონ პლესნოი, რომელიც აქამდე უკრაინის ღირსებას იცავდა, მაგრამ ამჯერად აშხაბადში საქართველოს დროშით წარდგება.

ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის განცხადებით, მსოფლიოს ჩემპიონატზე რამდენიმე მედალი იგეგმება. ცხადია, გამოკვეთილი ფავორიტი ლაშა ტალახაძეა, რომელიც დასკვნით დღეს იასპარეზებს. თუმცა, შანსები სხვა სპორტსმენებსაც აქვთ.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა საერთაშორისო ტურნირი მოიგო

საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა ლატვიის საერთაშორისო ტურნირზე ორივე შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო და ტურნირის გამარჯვებული გახდა.



პირველ შეხვედრაში ჩვენი გუნდი მოლდოვას დაუპირისპირდა და 6:2 დაამარცხა მეტოქე. შეხვედრა ქართველი ფეხბურთელების სრული უპირატესობით წარიმართა. ქართველთაგან ჰეთ-ტრიკი ფუმასამ შეასრულა, მეტოქის კარი ორჯერ სიმი საიოტიმ აილო, ერთი გოლი კი, საქართველოს ნაკრების მეკარის, ზვიად კუპატაძის ანგარიშზეა.

მეორეჯერ ჩვენი გუნდის მეტოქე მასპინძელი ლატვია იყო. ეს შეხვედრაც ქართველი ფეხბურთელების სრული უპირატესობით წარიმართა და მათი გამარჯვებით 5:2 დასრულდა. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ჰეთ-ტრიკი ამჯერად რონინიომ შეასრულა, თითო გოლი კი ფუმასამ და ირაკლი თოდუამ გაიტანეს.

საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები ლატვიის საერთაშორისო ტურნირზე მსოფლიოს 2020 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადების პროცესში იმყოფებოდა. მუნდიალის შესარჩევი რაუნდის წილისყრა მიმდინარე წლის 12 დეკემბერს გაიმართება, უშუალოდ შეხვედრები კი – 2019 წლის იანვარ-თებერვალში.

# ლომმა ტახი თანამოძმეებისგან გადაარჩინა და უსადილოდ დარჩა



სამხრეთ აფრიკის ქალაქ მარლოტ-პარკში, რომელიც კრიუგერის ეროვნული პარკის მახლობლად მდებარეობს, ტურისტები ლომებს შორის კონფლიქტის თვითმხილველები გახდნენ, რომელიც მათ მიერ მონადირებული ტახის გაქცევით დასრულდა. თვითმხილველთა მიერ გადაღებული კადრები იუთუბიში პარკის არხზე გამოქვეყნდა.

ვიდეოს ავტორის, 54 წლის ინჟინერის კობუს ვისერის თქმით, მისი ყურადღება ლომების პრაიდმა მიიპყრო.

– ჩვენ ჯერ მამრი ლომი შევნიშნეთ, შემდეგ კი ორი მდედრიც დავინახეთ, – იხსენებს ვიდეოს ავტორი, – თავდაპირველად ისინი მშვიდები ჩანდნენ, შემდეგ მდედრები წამოდგნენ, დაეწყვნენ და ნადირობა დაიწყო.

მდედრებმა ტახი დაიჭირეს და მის შეჭმას აპირებდნენ, მაგრამ იმწამსვე ადგილზე გაჩნდა მამრი ლომიც. მან ერთს გვერდი უბიძგა, მეორე კი თავად წამოდგა და გაეცალა. უმეთვალყუროდ დარჩენილმა ტახმა კი ამით ისარგებლა, წამოხტა და გაიქცა. მამრი მას გაეკიდა, მაგრამ ვერ დაეწია.

– ნანადირევი იმის გამო გაექცათ, რომ მამრმა გადაწყვიტა, საკუთარი დომინირების დემონსტრირება მოეხდინა, თუმცა ამის გაკეთება ნაადრევად მოუხდა და საბოლოოდ ყველანი სადილის გარეშე დარჩნენ, – დაწერა ვიდეოს კომენტარში ვისერმა.

# დინამო არენა ევროპის ლიგის ფინალური მატჩის პრეტენდენტია




საქართველომ, კერძოდ კი „დინამო არენამ“, უეფას სუპერთასის შემდეგ, შესაძლოა, კიდევ ერთ დიდ მატჩს უმასპინძლოს. საუბარია ევროპის ლიგის ფინალზე. უეფა გადაწყვეტილებას მომავალი წლის ზაფხულისთვის გამოაცხადებს.

2021 წლის ევროთასების ფინალების ჩატარების ინტერესი 11-მა ეროვნულმა ასოციაციამ, მათ შორის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გამოთქვა და უეფაში შესაბამისი განაცხადი შეიტანა. თბილისი 2021 წლის ევროპალიგის ფინალური შეხვედრის ჩატარებისთვის ვენასა და სევილიასთან იბრძოლებს.

2021 წლის უეფას ჩემპიონთა ლიგის, ევროპალიგისა და ქალთა ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩების გამართვის ადგილის შერჩევის პროცესი 28 სექტემბრიდან დაიწყო. ეროვნულ ასოციაციებს კი მატჩების მასპინძლობის ინტერესი 26 ოქტომბრამდე უნდა დაეფიქსირებინათ.

ერთია, ინტერესის გამოხატვა ვალდებულების აღებას არ ნიშნავს. საბოლოო წინადადება, განაცხადის დოსიესთან ერთად, უეფაში 2019 წლის 15 თებერვლამდე უნდა შევიდეს. უეფას აღმასრულებელი კომიტეტი 2021 წლის ევროთასების ფინალების მასპინძელთა ვინაობას კი 2019 წლის მაისში ან ივნისში დაასახელებს.

ვნახოთ, ვინ არიან სხვადასხვა ევროტურნირების პრეტენდენტები:

უეფას ჩემპიონთა ლიგა: გერმანია, მიუნხენი, „ალიანც არენა“; რუსეთი, სანკტ-პეტერბურგი, „სანკტ-პეტერბურგ არენა“;

უეფას ევროპალიგა: ავსტრია, ვენა, „ერნსტ ჰაპელი“; საქართველო, თბილისი, „დინამო არენა“; ესპანეთი, სევილია (არენა მოგვიანებით დადგინდება)

უეფას სუპერთასი: ბელარუსი, მინსკი, „დინამო“; ფინეთი, ჰელსინკი, „ოლიმპიური“; ჩრდილოეთ ირლანდია, ბელფასტი, „უინძორ პარკი“; უკრაინა, ხარკოვი, „მეტალისტი“;

უეფას ჩემპიონთა ლიგა ქალთა შორის: ჩეხეთი, პრაღა, „ედენი“; შვედეთი, გიოტერბორგი, „ულევი“.

შეგახსენებთ, რომ ყველაზე მაღალი რანგის საფეხბურთო მატჩი, რომელიც საქართველოში აქამდე ჩატარებულა, 2015 წლის უეფას სუპერთასის შეხვედრა იყო. „დინამო არენაზე“ სანახაობრივ და დრამატულ მატჩში ბარსელონამ სევილია 5:4 დაამარცხა.

ვნახოთ, ვუმასპინძლებთ თუ არა კიდევ ერთ დიდ მატჩს თბილისში და ვინ გვეწვევა ამჯერად.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ქალმა ვამპირის ყალბი ეშვები ჩაისვა და ვეღარ მოიხსნა

სამასკარადო კოსტიუმისთვის განკუთვნილი ვამპირის ყალბი ეშვების მოსაცილებლად ქალს კბილის ექიმთან სტუმრობა დასჭირდა.

ამერიკის ალაბამის შტატის მცხოვრები ანა ტიუ ჰელოუინისთვის გამოსაწყობად ემზადებოდა. მან, გარდა კოსტიუმისა, ყალბი ჩასასმელი ეშვებიც იყიდა, რომელშიც სამი დოლარი გადაიხადა. ქალმა ისინი ნამდვილ კბილებზე დროებითი წებოთი მიიმაგრა, რომელიც შენაძენს მოჰყვებოდა.

შემდეგ კი ჩასასმელი ეშვების მოხსნა იმაზე გაცილებით რთული გამოდგა, ვიდრე ამას ქალი წარმოიდგენდა. ის ღამის ორ საათამდე ცდილობდა მათ მოშორებას, ამისთვის რა ხერხს აღარ მიმართა, მაგრამ უშედეგოდ. ეშვები მის ნამდვილ კბილებზე მიეწება და აღარ შორდებოდა. ბოლოს ტიუ იძულებული გახდა, დახმარებისთვის კბილის ექიმისთვის მიემართა.

გასინჯვის შემდეგ ექიმი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქმე არა წებოში, არამედ მისი კბილებისა და ღრძილების ფორმაში იყო. ჩასასმელი ეშვების ამოსაღებად მათი გახერხვა და შემდეგ ნაწილ-ნაწილ ამოღება გახდა საჭირო. საბედნიეროდ, ქალის ნამდვილი კბილები ამ ოპერაციის შედეგად არ დაზიანებულა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მეზობლებმა ქალი ოთხმეტრიანი ნიანგისგან გადაარჩინეს

ინდოეთის ოდიშას შტატში ქალს 4,6 მეტრი სიგრძის ნიანგი თავს დაესხა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

რეპტილია ქალს იმ დროს მიეპარა, როდესაც ის სახლის გვერდით გამდინარე არხში ბანაობდა. სოფლის მაცხოვრებლებმა ქალის ყვირილი გაიგონეს და მის დასახმარებლად მიირბინეს. მათ მტაცებელს ბამბუკის ჯოხები დაუშინეს, აიძულეს ყბები გაეხსნა და ქალისთვის პირი გაეშვა. მათ მტაცებელი იმ ადგილიდან განდევნეს.

დაშავებული საავადმყოფოში მარჯვენა ხელზე მიყენებული სერიოზული ჭრილობებით გადაიყვანეს.. ადგილობრივები მოითხოვენ, რომ ოლქის ხელისუფლებამ სათანადო ღონისძიებები გაატარონ იმისთვის, რომ მომავალში მსგავსი ინციდენტები აღარ განმეორდეს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი

## 2 ნოემბრისათვის



**ვერძი** – სავარაუდოდ, გეგმები შეგეცვლებათ. შესაძლოა, ახალი მოვალეობებიც დაგეკისროთ. **კურო** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, თუმცა დაბრკოლებებს თავს მაინც ვერ დააღწევთ. ნერვებს გაუფრთხილდით. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად ქვეითდება. სირთულეები შეგექმნებათ ხელმძღვანელობასთან და მეგობრებთან ურთიერთობაში. **კირჩხიბი** – ყურადღების ცენტრში სამსახურებრივი პრობლემები ექცევა. დღის მეორე ნახევარი სახლში გაატარეთ. **ლომი** – გუნება-განწყობას არასასიამოვნო ინფორმაცია გაგიფუჭებთ. თავს დასვენებისა და მოდუნების უფლება მიეცით. **ქალწული** – შრომისუნარიანობა ქვეითდება. ეცადეთ, ადრე დაწყებული საქმეები მაინც დაამთავროთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა. საყიდლებზე წასვლა გაგახალისებთ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ღრიანკალი** – მოაწესრიგეთ დოკუმენტები. დამშვიდდით და მოდუნდით. მთლიანობაში, პასიური დღეა. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ინტიმურ ურთიერთობებს. დათრგუნეთ სიამაყე. **თხის რქა** – სანამ მოქმედებას დაიწყებთ, სიტუაცია საგულდაგულოდ გააანალიზეთ. ინდივიდუალური მუშაობა რეკომენდებული არ არის. **მერწყული** – პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ინტუიციას მიენდეთ. საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებით დაგვირგვინდება. **თევზები** – მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, შინაგანად დაძაბული და აფორიაქებული ხართ. უმჯობესია, თუ განმარტოვდებით და დაისვენებთ მყუდრო გარემოში.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ბარსელონის ძველი სახელწოდება; 2. მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ; 3. პირველი ქართული ბალეტი; 4. ქვიანი ან ქვიშიანი ნიადაგი; 5. ესპანეთში მოასპარეზე ქართველი კალათბურთელი; 9. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 12. გემთმშენებლობის ერთ-ერთი ცენტრი უკრაინაში; 14. იაპონური ციფრულ-ლოგიკური თავსატეხი; 15. აღმოსავლური ტკბილეული; 17. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 18. ქალაქი ჩეხეთში.

**თარაზულად**: 6. მიქელანჯელოს ქანდაკება; 7. ქართული მარიონეტული თეატრის ფუძემდებელი ქართველი რეჟისორი, სცენარისტი; 8. სტადიონი მეხიკოში; 10. ყველაზე დიდი ტბა იტალიაში; 11. ისტორიული ციხე-ქალაქი სენაკის რაიონში; 13. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 16. ესპანური ღვინო; 19. მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ; 20. პინოქიოს რუსული პროტოტიპი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჭონა; 2. ფრუმი; 3. ხრამი; 5. შულერი; 6. ნაკაშიძე; 9. მუჯურეთული; 10. საიათნოვა; 11. ინფანტინო; 14. ერა; 16. სალაპი; 18. იგლუ.

**თარაზულად:** 1. ჭორფლი; 4. აფშერონი; 7. ლუგელა; 8. მარტელი; 12. აჯიკა; 13. ნესტლე; 15. პანამა; 17. უთო; 19. კრიპტოგრამა; 20. გინზა; 21. ჯუღელი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პრაიდი; 2. კილტი; 3. გრახტი; 4. ქორქია; 6. ფარაონი; 9. არაყი; 11. კურიოზი; 15. ლაფონტენი; 16. ხარება; 17. მატადორი; 19. იმპულსი; 21. პაპაინი; 22. ჩაჟაში.

**თარაზულად:** 5. ერისთავი; 7. ანტრაშა; 8. ტრიერი; 10. გრაფიკა; 12. იგავი; 13. კრუპი; 14. ბაყალხანა; 18. გრილი; 20. ვაზარი; 23. მაინცი; 24. პატი; 25. პობედა; 26. შუნი; 27. ანანასი.

# ზურა დოიჯაშვილი ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ისრაელში მიდის



მომღერალი ზურა დოიჯაშვილი ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ისრაელში მიდის. ხელოვანი იმ ათიათასობით ქართველს შეუერთდება, რომლებსაც ემიგრანტები ჰქვიათ.

ინფორმაცია ამის შესახებ კომპოზიტორმა ნოდარ ნიკოლაიშვილმა გაავრცელა:

– ჩემი უმცროსი მეგობარი 5 ნოემბერს ოჯახით ტოვებს ქვეყანას და მიემგზავრება საცხოვრებლად ისრაელში.

ჩემს შემოქმედებაში ზურას პირველი ადგილი უკავია როგორც სიმღერების რაოდენობით, ასევე გაჰიტებულ ნაწილშიც.

# „დედე" ავსტრალიაში ოაზიის საერთაშორისო კინოფესტივალზე მიიწვიეს



მარიამ ხაჭვანის ფილმი „დედე" საფესტივალო მოგზაურობას განაგრძობს. არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული ფილმი 2 ნოემბერს ავსტრალიაში ოაზიის საერთაშორისო კინოფესტივალზე იქნება ნაჩვენები.

კინოფესტივალის პარალელურად, მარიამ ხაჭვანის ნამუშევარი წარმოდგენილი იქნება ნიუ იორკში, ჰოლანდიაში, ჩიგაკოში, ვაშინგტონში, კალიფორნიაში, ფრესნოში და კიდევ ერთ საერთაშორისო კინოფესტივალზე – სლოვენიაში ლუბლიანას საერთაშორისო კინოფესტივალზე.

# ნოდარ დუმბაძის „ჰელადოსი" აზერბაიჯანელმა რეჟისორმა დადგა




ნოდარ დუმბაძის ცნობილი მოთხრობა „ჰელადოსი" აზერბაიჯანელმა რეჟისორმა, განჯის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირადა გოზალოვამ დადგა.

სპექტაკლის პრემიერა 2 ნოემბერს ახმეტელის თეატრში გაიმართება. „ჰელადოსი" რეჟისორმა ახმეტელის თეატრის მსახიობებთან ერთად განახორციელა.

– „ჰელადოსი" კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს იმ მარადიულ ღირებულებებსა და პრობლემებზე, რომლებსაც ნოდარ დუმბაძე თავის შემოქმედებაში ეხმიანება, „სამშობლო უფრო ღრმაა" – ამბობს ბერძენი იანგული, სოხუმზე უზომოდ შეყვარებული იანგული და ამ გრძნობით სავსენი ვკითხულობთ ნაწარმოებს, ვკითხულობთ და გვჯერა, რომ მდინარე კელასურის შესართავთან ბოლოს იანგული აუცილებლად დაბრუნდება.

საპრემიერო სპექტაკლის მხატვარია მირზე მეჰდი, ქორეოგრაფი – გიორგი რაზმაძე. სპექტაკლში გამოყენებულია კომპოზიტორ გოგი ჩლაიძის მუსიკა. „ჰელადოსში" მონაწილეობენ გიორგი ცხადაძე, ანდრია გველესიანი, ნუგზარ ყურაშვილი, მზია ტალიაშვილი, თამარ ჟორდანია, თამარ ბეჟუაშვილი, ნინო ციმაკურიძე, მაიკო ვაწაძე, დემო კალანდაძე და მალხაზ მიქავა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## რეზო სადაღაშვილის ხსოვნას!

ამ ქვეყნიდან მოულოდნელად წავიდა სულით ხორცამდე ქართველი ვაჟკაცი, ნამდვილი მეგობარი და კლასელების შემკრები. 2 ნოემბერს დაბადების დღე გექნებოდა. შენ ყველასგან გამოგარჩევდა ის ღირსებები, რომლითაც დღეს ვამაყობთ. საოცრად თავმდაბალი და კეთილშობილი – ასეთი გვემახსოვრები.

გამძლეობას ვუსურვებთ შენს ოჯახს, ახლობლებს. გვენატრები.

**თბილისის №10 საშუალო სკოლის**
**1967 წლის X[1] კლასის გამოშვება**

ცნობილ ქართველ სპორტსმენს, ძიუდოში ევროპის ჩემპიონს, მსოფლიო ჩემპიონს ახალგაზრდებს შორის, 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადის მონაწილეს **ვლადიმერ დგებუაძეს** გარდაეცვალა მამა

## რევაზ დგებუაძე

სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

**დგებუაძეების საგვარეულო კავშირის გამგეობა**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ლევან ღვინჯილია ჟურნალისტებს აკრიტიკებს



ენათმეცნიერი ლევან ღვინჯილია ჟურნალისტებს აკრიტიკებს და ქართული ენის დაცვას სთხოვს:

– არა „გაწევას!"

„გაწევა" შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ადამიანისა და არამცდაარამც კანონპროექტისა, თუნდაც ეს იყოს „კანონპროექტი კანაფის კულტივირების შესახებ".

ამდენად, ცდება ყველა ის ტელეწამყვანი, ჟურნალისტი, პარლამენტარი თუ მოხელე, ვისაც მიაჩნია, რომ შეიძლება „პარლამენტიდან კანონპროექტის გაწვევა".

გათხოვნა, გატანა... კი ბატონო, როგორც „შეტანის" საპირისპირო მოქმედება.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტს კარგა ხნის წინ უნდა მიექცია ამ მასობრივად მოდებული დამახინჯებისათვის ყურადღება და „სუმოს ტერმინოლოგია" მერე დაემუშავებინა.

ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ „პარლამენტიდან კანონპროექტის გაწვევის" მომხრეები ლინგვისტურად უკვე კარგად დაკანაფებულ-დაბოლილები არიან და არც უფიქრდებიან, რომ მშობლიურსავე ენაში სულიერსა და უსულოს ერთმანეთისაგან უკვე ველარ არჩევენ.

ამბობენ, კანაფით „დაბოლებამ" აზროვნების ამგვარად „გაფერადოვნებაც" იცისო.

მთლად ნუ წავახდენთ ისედაც უფსკრულის პირას მდგარ დედაენას!

# ბექა ჩხაიძე: „პოლიტიკის გამო ჩვენ ნუ დავხოცავთ ერთმანეთს"



ასე მოუწოდებს მომღერალი ბექა ჩხაიძე ქართველ საზოგადოებას და ერთმანეთის ლანძღვა-გინებისგან თავის შეკავებას სთხოვს:

– პოლიტიკის გამო ჩვენ ნუ დავხოცავთ ერთმანეთს. სულ ფეხებზე ჰკიდია პოლიტიკას ჩვენი ურთიერთობები! მუდმივი არავინ და არც ერთი პოლიტიკა და პოლიტიკოსი არ ყოფილა ამ ქვეყნად! დროებითია ყველაფერიიი, დროებითი, მერე მიიხურავენ კარებს და პენსიაზე გასულები საფრანგეთიდან ან გერმანიიდან დაგვიქნევენ ხელს ტელევიზორში და ჩვენ ერთმანეთის მკვდარცოცხალის გინება გაგვყვება ბოლომდე! აწიკწიკებული აქვთ იმათ ცხოვრება და ჩვენ ნუ ვასკდებით ერთმანეთს, ნუ. ღმერთმა შეგარგოთ, ვისაც ვინ მოგწონთ, უბრალოდ, ნუ დავჭამეთ ერთმანეთი. ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები-თქვა. ქვეყანაში ისეთი სიტუაციაა, მგონია, ლოთი ქობალია ირაზმება შემოსასვლელად.

# სვიმონ დადიანის უნიკალური კოლექცია ალბომში გაერთიანდა




სვიმონ იგივე სიმონიკა დადიანს ქართველი მოდილიანი უწოდეს. მისი უნიკალური კოლექცია საქართველოში ხელოვნების სასახლის ხელმძღვანელ გიორგი კალანდიასა და მისი თანამოაზრეების მონდომების შედეგად დაბრუნდა და მისი ნამუშევრების ალბომიც გამოიცა.

გიორგი კალანდია, ხელოვნების სასახლის დირექტორი:

– დიდი ხნის შრომისა და ფიქრის შედეგი, სვიმონ დადიანის ალბომი გამოვიდა. ეს ის სიმონიკაა, რომელსაც ქართველ მოდილიანს ვეძახით და რომლის ნამუშევრები შარშან პარიზიდან ჩამოვიტანეთ. ამხელა ფერწერული კოლექცია საქართველოს მანამდე არ მიუღია, ასეთი შენაძენი ქვეყნისთვის იშვიათია.

გადავიფიქრე, ახლა მოვაწყო ამ წიგნის პრეზენტაცია და სიმონიკასადმი მიძღვნილი გამოფენა, რადგან ეს ძალაუნებურად წინასაარჩევნო პროპაგანდად ჩამეთვლება. იმ ადამიანსაც ახლა საჯაროდ ვერ ვეტყვი მადლობას, რადგან ისეთ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, რომ ეს ცუდად იქნება გაგებული, არადა, ის რომ არ ყოფილიყო, ამ კოლექციას საქართველო ალბათ დიდხანს ვერ იხილავდა...

ასე რომ, სიმონიკას გამორჩეულ გამოფენაზე და კატალოგის პრეზენტაციაზე ხელოვნების სასახლეში არჩევნების დასრულების შემდეგ დაგპატიჟებთ.

# ქეთი ფარესაშვილს განათლებული ადამიანების პარტიის შექმნა სურს



მომღერალ ქეთი ფარესაშვილს განათლებული ადამიანების პარტიის შექმნა სურს. ეს ინიციატივა მომღერალმა სოციალურ ქსელში გაავრცელა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა:

– გადავწყვიტე, ნამდვილად უნდა შევქმნა ახალი პარტია განათლებული ადამიანების, არასნობების, სიყვარული ვისაც არ დაუკარგავს ადამიანური – ასეთი სულ ახალი სახეები. არაჩარჩენილები 37 წელში, კომუნისტურ-კომკავშირული მენტალობიდან გამოვიყვანთ ფსიქოლოგიური თერაპიების დახმარებით, შესაძლებელია შედეგი, თავისუფალი მენტალობა, ენერგიის ამაღლება.

პ.ს. ჰიმნიც იქნება თანამედროვე და არა „საიუზ ნე რუშიმი". სიტყვები: „ჩვენს ასაკში" რომელიც 25 წლიდან პირზე აკერია ყველას, არ იფიგურირებს, არამედ ჯანმრთელი მისწრაფება ახალგაზრდობისკენ.

# მეტეხის ტაძრის კონსერვაცია დასრულდა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრის თანამშრომლობის საფუძველზე დასრულდა თბილისში მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრის დასავლეთ ფასადის ქვის კონსერვაციის სამუშაოების მეორე ეტაპი.

სამუშაოები მიზნად ისახავდა დასავლეთის ფასადის, დაზიანებული ქვების კონსერვაციას, გაფხვიერებული ქვის კონსოლიდაციას, წინაპერიოდის სარესტავრაციო ჩარევების მოხსნას, ჰაერის ჭავლით ამოწმენდას, ქვის ნაკლული ადგილების რეკონსტრუქციას.



ქვის ზედაპირზე დროთა განმავლობაში გაჩენილი ნაპრალებისა და სიცარიელეების შევსების მიზნით გამოყენებულ იქნა ინექტირების მეთოდი, ჰიდრავლიკური კირისა და პოცოლონას საინექციო ხსნარის მეშვეობით. ქვის ნაკლული ადგილები, შეივსო გრასელოს კარბონატული კირის, მინაბოჭკოვანი დამანატის სილიციუმის ქვიშისა და პოცოლნას ნაერთით. შესაბამისი გრანულომეტრია საშუალებას იძლევა მივიღოთ იმ ტიპის ხსნარი, რომელიც სწორედ ინტეგრირდება არსებულ მასალასთან.

მეტეხის ტაძრის დასავლეთ ფასადზე, როგორც ტაძრის მთელ პერიმეტრზე, აღინიშნება წინა პერიოდის სარესტავრაციო ჩარევები. უმეტეს შემთხვევაში სახეზე გვაქვს ცემენტის შევსებები, რომლებიც დღეს ამორტიზირებულია და ველარ ასრულებენ საკონსერვაციო დანიშნულებას. აქედან გამომდინარე ხორციელდება მათი მექანიკურად მოხსნა ქვის სატეხისა და ჩაქუჩის გამოყენებით, რადგანაც დაუშვებელია ყოველგვარი პნევმატური ან ავტომატური სატეხების გამოყენება, რომლებიც თავის მხრივ მცირე ბიძგებს და რყევებს ქმნიან ქვის მატრიცაზე, რაც უკვე დაზიანებულ ქვას მეტად დააზიანებს.

პროექტს პროფესორი ნანა კუპრაშვილი და სტეფანო ვოლტა ხელმძღვანელობდნენ, სარესტავრაციო ჯგუფს კი – ალექსანდრე რუხაშვილი. სამუშაო პროცესში ჩართული იყვნენ რესტავრატორ-კონსერვატორები და სტუდენტები თბილისის სამხატვრო აკადემიიდან: სალომე ახალაშვილი, მარიამ ამაშუკელი, ირაკლი ბერიძე, ელენე თორღვაიძე, საბა ციკოლია, ალექსანდრე თოდუა, ნუცა ადეიშვილი, ნინო ზედგენიძე, ელენე ონაშვილი, ნინო უგრეხელიძე, მარიამ ჭელიძე, რომლებიც პრაქტიკას უშუალოდ ქვის კონსერვაციის დისციპლინაში გადიან.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

2 ნოემბრისთვის

- აშშ დოლარი — 2.7203
- ევრო — 3.0848
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4657
- 100 რუსული რუბლი — 4.1366

## ამინდის პროგნოზი 2 ნოემბრისთვის




## ბიჭზე მეოცნებე მამაკაცმა ახალდაბადებული გოგონა გაყიდა



ჩინეთში დააპატიმრეს მამაკაცი, რომელმაც თავისი ახალდაბადებული გოგონა გაყიდა. ადგილობრივი გამოცემის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მან საკუთარი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ძალიან უნდოდა, ბიჭი ჰყოლოდა.

ინციდენტი ჩჟეცზიანის პროვინციის ქალაქ იუში მოხდა. სექტემბრის შუა რიცხვებში 42 წლის სიაოხუეია ლის მეორე გოგონა შეეძინა. ამან ის ძალიან გაანაწყენა და თვის ბოლოს ახალშობილი უშვილო წყვილს მიჰყიდა, რომელიც მეზობელ პროვინცია ხუბეიში ცხოვრობს. მათ ბავშვში ოთხი ათასი იუანი გადაიხადეს.

ბავშვის გაუჩინარებამ ძალიან შეაშფოთა ლის დედა, რომელიც შვილთან გადასვლასა და შვილიშვილზე ზრუნვას აპირებდა. ის ძალიან გააკვირვა იმან, რომ შვილმა უარი უთხრა მასთან გადასვლაზე. ოქტომბრის დასაწყისში ქალი მაინც ჩავიდა შვილის სახლში და მოინახულა რძალი, როდესაც ლი სახლში არ იმყოფებოდა. როდესაც ახალშობილი ვერ ნახა, მან შვილს დაურეკა, თუმცა ლიმ დალაპარაკებაზე უარი უთხრა. ამის შემდეგ ქალმა დახმარებისთვის პოლიციას მიმართა.

სამართალდამცავებმა მამაკაცი დაკითხეს და მან ბავშვის გაყიდვის ფაქტი აღიარა. მისი თქმით, ის ბიჭის დაბადებას ელოდა და უმუშევრობის გამო კი ორი გოგონას შენახვის საშუალება არ ჰქონდა.

საბოლოოდ პოლიციამ მამაც და ბავშვის მყიდველებიც დააპატიმრა. გოგონა სახლში დააბრუნეს და მასზე ახლა დედა და ბებია ზრუნავენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

პარლამენტარი დათვზე სანადიროდ მიდის. ტყეში მოხუცი შემოხვდება და ეკითხება:

— შვილო, აქ რას აკეთებ?

— დათვზე მივდივარ სანადიროდ.

— ჰოო, რთული საქმე გიკისრია, ამ ტყეში დათვი ბატონობს. მასზე ჯერ კიდევ პაპაჩემი ნადირობდა შურდულით, შემდეგ – მამაჩემი შურდულით და ვერაფერი დააკლეს.

— ძიაკაცო, აი, ნახე, ავტომატი მაქვს, დათვს კი არა, სპილოსაც დააგდებს, ოპტიკური სამიზნით, ტყვიები — რკინის გულათი... — უპასუხა მოხუცს და გზა გააგრძელა.

მოხუცმა თავისთვის ჩაილაპარაკა:

— როგორც ვატყობ, ამ ტყეში შემოსვლა აღარ ღირს, აქამდე თუ დათვს ორი შურდული ჰქონდა, ახლა უკვე ავტომატიც ექნება...

●●●

სომხეთის რადიოს ეკითხებიან:

— აბაზანაში ჩართული ფენის ჩაყოფა შეიძლება?

— შეიძლება, თუ გარანტიის ვადა გასული არ არის.

●●●

თვითმფრინავში მგზავრი წუწუნებს:

— ვაიმე, ცუდად ვარ, სადაცაა, გული ამერევა!

ამ დროს გვერდით მჯდომი მგზავრი ეუბნება:

— ზევით იმ ღილაკს დააჭირეთ თითი!

მგზავრმა დააჭირა და ეკითხება:

— დავაჭირე და მერე?...

— „სტიუარდესასთან“ ნათურა აინთო...

— შენი დედაც... მე ცუდად ვარ, გული მერევა და ის რა, ნათურას თვითონ ვერ აანთებდა?!

●●●

რესტორანში მაგიდასთან მარტო მჯდომ ქალს სოლიდური სახის მამაკაცი მიუახლოვდა და ეკითხება:

— შეიძლება, რომ თქვენს მაგიდასთან დავჯდე?

— დაბრძანდით.

— ნება მომეცით, თავი წარმოგიდგინოთ, მამუკა მქვია, პარლამენტის სახალხო დეპუტატი ვარ, წესიერი და პატიოსანი ადამიანი...

— ძალიან სასიამოვნოა! მე მქვია მარინა, 35 წლის, მეძავი... ქალიშვილი!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# ბოაი



საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია



მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.




ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


## ბრაზილიელი ფეხბურთელი წამებით მოკლეს



24 წლის ბრაზილიელი ფეხბურთელი დენიელ ფრეიტასი გარდაცვლილი იპოვეს ქალაქ სან-ჟოზედუს-პინიაისში.

სპორტსმენის ცხედარი კვირა დღეს გამვლელებმა აღმოაჩინეს. დენიელის ყოფილმა კლუბმა „სან-პაოლომ“ მისი სიკვდილის ფაქტი დაადასტურა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნახევარმცველი სიკვდილის წინ აწამეს. ის, ფაქტობრივად, თავმოჭრილი იყო. დამნაშავეებმა მას გენიტალიები მოაჭრეს.

ადგილობრივ პოლიციას ფეხბურთელის მკვლელობის ფაქტი ჯერ არ დაუდასტურებია.

დენიელის ბოლო კლუბი „სან-ბენტო“ იყო, რომელიც ბრაზილიის სეირა ბ-ში გამოდის. ფეხბურთელი 2016 წლიდან „სან-პაოლოს“ საკუთრებას წარმოადგენდა, თუმცა ის რამდენიმეჯერ იჯარით იყო განათხოვრებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბოკა ხუნიორსი და რივერ პლეიტი ლიბერტადორესის თასის ფინალში გავიდნენ



ლიბერტადორესის თასის ისტორიაში პირველად რივერ პლეიტი და ბოკა ხუნიორსი ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან.

ლიბერტადორესის თასზე ფინალიც ორმატჩიანია და ორივე შეხვედრა ნოემბერში გაიმართება.

ბოკაც და რივერიც არგენტინული ფეხბურთის მთავარი გრანდები არიან, მაგრამ მათ ერთმანეთის წინააღმდეგ ლიბერტადორესის ფინალში არასოდეს უთამაშიათ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ლუის სუარესი: „მესის გარეშეც ძლიერები ვართ“



ბარსელონის ურუგვაელმა ფორვარდმა ლუის სუარესმა რეალთან გამარჯვებაზე ისაუბრა და თქვა, რომ ბარსელონა მესის გარეშეც საკმაოდ ძლიერია.

სუარესის აზრით, მესის ტრავმა გუნდისთვის სასარგებლოც იყო, რადგან ბარსელონა მის გარეშე თამაშსაც შეეჩვია:

— ყველამ კარგად დაინახა, რომ ბარსელონა მხოლოდ მესი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ის უდიდესი ფეხბურთელია. რეალთან და ინტერთან ჩვენ ყველას ვაჩვენეთ ჩვენი ძალა და, როდესაც მესი დაბრუნდება, კიდევ უფრო ძლიერები გავხდებით.

## დეიან ლოვრენი: „რამოსზე ძლიერი მცველი ვარ“



ლივერპულის ცენტრალურმა მცველმა დეიან ლოვრენმა საკუთარ თამაშზე ისაუბრა და თქვა, რომ მას ხშირად უსამართლოდ აკრიტიკებენ.

ლოვრენის აზრით, სერხიო რამოსი მასზე მეტ შეცდომას უშვებს, მაგრამ მას უკეთესი რეპუტაცია აქვს და მის შეცდომებზე ხშირად არ საუბრობენ.

— ვფიქრობ, რომ მსოფლიოში საუკეთესო მცველების ხუთეულში შევდივარ და არ მესმის ზოგიერთი ადამიანის დამოკიდებულება ჩემ მიმართ. შეცდომისგან დაზღვეული არავინ არის და სერხიო რამოსი ბევრ შეცდომას უშვებს, მაგრამ მას ისე ხშირად არ აკრიტიკებენ, — განაცხადა დეიან ლოვრენმა.

## ბლეზ მატიუდი: „კრიშტიანო საოცარი ადამიანია“



ტურინის იუვენტუსის ფრანგმა ფეხბურთელმა ბლეზ მატიუდიმ თავის თანაგუნდელ კრიშტიანო რონალდოზე ისაუბრა და თქვა, რომ რონალდო ყოველთვის ვარჯიშობს, მაშინაც კი, როდესაც ძალიან დაღლილია.

— როდესაც მანჩესტერიდან ჩამოვფრინდით, ყველანი ძალიან დაღლილები ვიყავით და დასვენება გვინდოდა, მაგრამ რონალდომ თქვა, რომ მას უნდა ევარჯიშა და დარბაზში წავიდა. ის მართლაც საოცარი ადამიანი და სპორტსმენია, ამიტომ მისი წარმატება გასაკვირი არ არის, — განაცხადა მატიუდიმ.

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად; 2. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 3. უსქესო, ვეგეტატიური გამრავლების გზით წარმოშობილი შთამომავლობა; 5. ცისკრის, განთიადის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 6. ხერხემლის გამრუდება; 9. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მესხეთში; 10. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 11. მრავალხმიანობა მუსიკაში; 14. ქართული ჟურნალი; 16. ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი; 18. გალავნით შემოსაზღვრული ძველი თბილისის უბანი.

**თარაზულად**: 1. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 4. ალპინისტთა ლაშქრობა რამდენიმე მწვერვალის გავლით; 7. ტბა იტალია-შვეიცარიის საზღვარზე; 8. წყლის ბინადართა საერთო სახელწოდება, რომელთაც დინების საწინააღმდეგო მიმართულებით შეუძლიათ გადაადგილება; 12. ყველაზე დიდი ტბა იტალიაში; 13. ზღვა თურქეთსა და საბერძნეთის სანაპიროებთან; 15. გერმანელი ფიზიკოსი, კვანტური ფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 17. დენის წინაღობის საზომი ერთეული; 19. ინდური იგავ-არაკების კრებული; 20. საცხოვრებელი სახლი თბილისში; 21. ბრაზილიური არაყი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

